რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 12 იანვარი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 8 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 8

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა"-ზე

ხელის მოწერის პირობები:

ერთი თვით — 4 მან. 50 კაპ.
ორი თვით — 9 მანეთი.
სამი თვით — 13 მან. 50 კაპ.
ექვსი თვით — 27 მანეთი
ერთი წლით — 50 მანეთი

ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".

ამხანაგებს და თანაგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერა ნუ დააყოვნებენ.

ვერის „წითელი გვარდია" გულითად მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ამა წლის 9 იანვარს, ღამის 11 საათზე საბურთალოზე ვერაგულათ იქნა მოკლული ამხანაგი (გვარდიელი)

**დავით (დათიკო) ივანეს ძე ტარიელაშვილი;**

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ყვირას, 14 იანვარს, ქუთაისში [illegible] ეკლესიაში [illegible] სამხედრო ექიმის

**ანდრო მერაბის ძე პილასონის**

[illegible] (2—1)

ღრმა დამწუხრებული [illegible]

**გაია (მარუსა) იაკობის ასული გარსევანიშვილისა**

დაკრძალვა მოხდება შაბათს 13 იანვარს [illegible]

ღრმად დამწუხრებული [illegible] რომ 13 იანვარს [illegible]

**სიო ლევანის ძე ურუშაძის**

ხელის მოსახსენებლათ. (1—1)

## ტფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტისაგან.

[illegible]

ტფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.

(3—1)

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

ბავშვთათვის სურათებიანი ყოველთვიურ ჟურნალზე

„ნაკადული"

[illegible]

რედაქტორ-გამომცემელი ნინო ნაკაშიძე.

(3—1)

## შოვინისტები ირაზმებიან

ამიერ კავკასიის რევოლიუციონური დემოკრატიის მტრები ირაზმებიან და მის რევოლიუციონურ ორგანოებზე იერიშები იერიშებზე მიაქვთ.

ეხლა სხვადასხვა ერის შოვინისტები გაბედულათ ხმას იმაღლებენ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების წინააღმდეგ და მათ მოქმედებას იწუნებენ.

მათ კარგათ იციან, რომ რევოლიუციონური კლასების სიძლიერე რევოლიუციონური ორგანიზაციებისა და ორგანოების განმტკიცებაში მდგომარეობს და თუ ვისმე რაიმე ზიანი უნდათ მიაყენონ რევოლიუციონურ დემოკრატიას და მთელ რევოლიუციას, მათ აუცილებლათ ამ ორგანოების წინააღმდეგ უნდა გამოილაშქრონ. ამიტომაც არის ყველა ჯურის და ეროვნების შოვინისტები კავკასიის დემოკრატიის რევოლიუციონური ორგანოებისა და მისი დროებითი მმართველობის წინააღმდეგ ამხედრებულან. აქ ყველაზე ერთგულებას ქართველ ყოფილი ბრწყინვალე წოდების მორჩილი ორგანო „ვოზროჟდენიე" და გაზ. „საქართველო"-ს სულის ჩამდგმელნი იჩენენ და მთელ თავიანთ შოვინისტურ ღვარძლიანობას რევოლიუციონურ დემოკრატიის წინააღმდეგ ანთხევენ. უკანასკნელებმა კარგა ხანია ხელი გაუწოდეს თათრის ბეგებსა და აღალარებს და ხმა შეწყობილათ რევოლიუციისა და ამიერ კავკასიის მთავრობის წინააღმდეგ ხალხს მოუწოდებენ. მათ მხარს უმაგრებენ სხვა ჯურის ნაციონალისტები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამიერ კავკასიის რევოლიუციონურ მოძრაობის სულის ჩამდგმელ სოციალდემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ ბალშევიკებსაც კი მხარს უჭერენ. ოღონდ მიზანს კი მიაღწიონ და ისინი მზათ არიან „ეშმაკის ბებიასაც" შეუერთდენ.

ისტორიულათ, ტრადიციულათ ამიერ კავკასიის რევოლიუციონური დემოკრატია განსაკუთრებით გლეხ-კაცობა და წვრილი ბურჟუაზია სოციალ-დემოკრატიულ-მენშევიკურ პარტიის დროშის ქვეშ გამოდის და პოლიტიკურ ასპარეზზე მას მხარს უჭერს. მაშასადამე აქ ყველაზე ძლიერი მტერი და რევოლიუციონური ორგანიზაცია—მენშევიკური სოციალ-დემოკრატიული პარტიაა. ეს პარტია არის, რომელიც ძველი რეაქციის დროს შოვინისტურ პარტიებს და ჯგუფებს მოსვენებას არ აძლევდა და სახელმწიფო დუმის ყველა არჩევნების დროს გამარჯვებული გამოდიოდა. თვით რუსეთის ამ დიდი რევოლიუციის დროს მესვეურობა ამ პარტიას ხვდა წილათ და ეს პარტია გახდა რევოლიუციონური დემოკრატიის მეთაური, ამ პარტიის მეოხებით გამოიცა მიწის, რვა საათის სამუშაო დროს და წოდების გაუქმების დეკრეტი. მენშევიკურმა პარტიამ განამტკიცა და გააღრმავა რევოლიუცია, შეაკავშირა ამიერ-კავკასიის ყველა ერების დემოკრატია და შოვინისტური მიმდინარეობა საკმარისათ ალაგმა.

მაგრამ ყველა ეს ჭკუაში არ დაუჯდათ სხვადასხვა ერების შოვინისტებს და ამათაც დაიწყეს თავისებური აგიტაცია. ზოგიერთა ერის ნაკლებათ შეუგნებელ დემოკრატიულ წრეებში შესაფერი გავლენა მოახდინეს და რევოლიუციის საწინააღმდეგო მოძრაობა დაიწყეს. დღეს ჩვენ მოწამენი ვართ ბეგებისა და აღალარების კონტრ-რევოლიუციონურ მოძრაობის, რომელსაც თანაგრძნობით ეპოტინებიან ქართველი ყოფილ ბრწყინვალე წოდების მესვეურნი.

შოვინისტები იქამდის გაკადნიერდენ, რომ ისინი რუსეთიდან სრულ გამოყოფას მოითხოვენ და ამიერ კავკასიის თითოეული ერის სრულ დამოუკიდებლობასაც კი აღიარებენ.

ჩვენ აქ არაფერი გვაკვირვებს. ყოველ რევოლიუციის დროს, გაბატონებული კლასების იდეოლოგები, შოვინისტური ელემენტები რევოლიუციის დასასამარებლათ და მთლიანი დემოკრატიული ფრონტის დასარღვევათ ვიწრო შოვინისტურ მიზნებს ისახავდენ და მით რევოლიუციონური დემოკრატიის გაერთიანებას ხელს უშლიდენ. ავსტრია-უნგრეთის 1848 წლის რევოლიუციის დროს სხვადასხვა წვრილი ერების შოვინისტ-ნაციონალისტებმა კონტრ-რევოლიუციონური როლი ითამაშეს და რევოლიუციას დიდი ზიანი მიაყენეს. ავსტრია-უნგრეთში შოვინისტებს უმთავრესათ თავიანთ კლასობრივი ინტერესები ამოძრავებდათ და ისინი ვერ ურიგდებოდენ რევოლიუციონურ მოძრაობას, ფაქტიურათ ისინი ავსტრიის გაბატონებულ კლასებსა და მათ მთავრობასთან შეთანხმებულათ მოქმედებდენ.

ამიერ კავკასიაში ბალშევიკების ავანტიურის მეოხებით კავშირი გასწყდა რუსეთის გაბატონებულ კლასებთან და ადგილობრივი შოვინისტები მეგობრობასა და კავშირს ახლა ამიერ კავკასიის რეაქციონურ ელემენტებთან ეძებენ. მაგრამ მათ ასეთ დაკავშირებას დარაჯათ უდგას რევოლიუციონური დემოკრატია და მისი რევოლიუციონური ორგანოები. და სწორეთ ამიტომ არის, რომ სხვადასხვა ერის შოვინისტები ამ ორგანოების წინააღმდეგ ამხედრდენ, ამ ორგანოების წინააღმდეგ ირაზმებიან და რევოლიუციას მტრათ ევლინებიან. სწორეთ ახლაა საჭირო ამიერ კავკასიის რევოლიუციონური დემოკრატია შეკავშირდეს, უფრო ძლიერი რაზმი შეკრან და შოვინისტთა კონტრ-რევოლიუციონური იერიშები სამუდამოთ მოიგერიონ. რევოლიუციის განმტკიცება და მის მიერ მოპოებული თავისუფლების შენარჩუნება რევოლიუციონური ორგანოების საქმეა და უკანასკნელებიც მჭიდროთ უნდა შეკავშირდენ.

## სპეკულიანტების წინააღმდეგ

სპეკულიაციამ საშიშარი სახე მიიღო. ერთის მხრით გაფართოვდა სპეკულიანტთა რიცხვი. ვინ გინდათ, რომ სპეკულიაციას არ მისდევდეს: ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე, მღვდელი და ბერი, ქალი და კაცი, მუშა და ხელოსანი,—ასეთია სპეკულიანტთა სოციალური შემადგენლობა. სპეკულიაციის საგანს ყოველგვარი ნაწარმოები შეადგენს. განსაკუთრებით ცხოვრების პირველ საჭიროების საგნები გახდა სპეკულიანტების სატრფიალოთ.

გულუბრყვილო და გამოუცდელი მკითხველი იტყვის, რომ სპეკულიანტებს არ მიუძღვის ამაში მთელი დანაშაული, საზოგადოთ ყველაფერი გაძვირდაო.

ეს არ არის მართალი. როცა ჩრდილოეთ კავკასიიდან მოტანილი პური ქალაქის ფურნეებში ხუთ შაურათ იყიდება გირვანქა, ასეთივე პური კერძოთ მანეთათ და ორ მანეთათ იყიდება, კოოპერატივში რვა კაპეიკათ იყიდება ასანთი, ქუჩაში ორ აბაზათ. სოფელში ათ მანეთათ ყიდულობენ სიმინდის ფქვილს, აქ კი ოთხ თუმნათ ყიდიან. ცხადია, სიძვირეს იწვევს საქონლის ნაკლებობა და სპეკულიანტთა თავგასულობა.

ამიტომ ჩვენ სრულის თანაგრძნობით ვეგებებით თფილისის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებებს და ბრძანებებს საზოგადოთ და განსაკუთრებით იმ მუხლებს, რომელიც სპეკულიანტების წინააღმდეგ არის მიმართული.

დროებით მთავრობის მიერ გამოცემულ სისხლის სამართლის დებულების მე-29 მუხლი საქმეს ვერ შველიდა, რადგან ეს მუხლი ნებას აძლევს მომრიგებელ მოსამართლეს დამნაშავეს გადაუწყვიტოს ექვს თვემდე ციხე ან ჯარიმა. ჩვენი ძველი მოსამართლეები ყოველთვის „ლმობიერებას" იჩენდენ დამნაშავისადმი და ციხის მაგიერ ჯარიმას ახდევინებდენ. ხოლო ვინ არ იცის, რომ სპეკულიანტისთვის ჯარიმა სულაც არ არის საშიში: ჯარიმას გადაიხდის და მეორე დღესვე აინაზღაურებს ამ ჯარიმას საქონლის გაძვირებით. ეს ფორმალურათ, ნამდვილათ კი არც ჯარიმას იხდიდა ვაჭარი, რადგან მომრიგებელ მოსამართლის დადგენილება საბოლოვო არ იყო, სპეკულიანტს შეეძლო საოლქო სასამართლოში გადაეტანა საქმე და იქ დაუსრულებლივ გაეჭიანურებია. აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით ვაჭრების ამ შეღავათს ბოლო ეღება. ბრძანებაში სწერია: „ქალაქ თფილისის ყველა ვაჭრებს სასტიკათ ევალებათ ივაჭრონ დაწესებულ ნიხრის კვალობაზე. დამნაშავეებს დაატუსაღებენ და სამხედრო-რევოლიუციურ სამართალში მისცემენ. მილიციის უფროსს უფლება ეძლევა ადმინისტრატიული წესით დასაჯოს დამნაშავე სამი თვით დატუსაღებით".

ამ რიგათ ისპობა სასამართლოს გაჭიანურებული პროცესი და დამნაშავეების შეღავათი. მათი დაუყონებლივი დასჯა შეუძლია მილიციის უფროსს და შემდეგ უფრო მძიმე შემთხვევებში რევოლიუციონურ ტრიბუნალს, რომლის დადგენილება საბოლოვოა.

ამ დადგენილების, ე. ი. სპეკულიანტებთან ბრძოლის წარმოება ევალება—თფილისის გარნიზონის შერეულ რაზმებს. აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო რაზმს, წითელ გვარდიელებს და მილიციას, მათ ხელმძღვანელობას უწევს „თფილისის დამცველი შტაბი", რომლის ბრძანებას ყველა უსიტყვოთ უნდა დაემორჩილოს".

ამ გვარათ, მცხოვრებთა ინტერესები უზრუნველყოფილი იქნება, თუ, რასაკვირველია, აღმასრულებელი კომიტეტი თავის ბრძანებას სასტიკათ გაატარებს ცხოვრებაში. და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის სასტიკათ გაატარებს ამ ბრძანებებს ცხოვრებაში, რადგან ამას მოითხოვს როგორც მცხოვრებთა ინტერესები, ისე თვით. კომიტეტის ავტორიტეტი და სახელი. მოქალაქენიც მოვალენი არიან დაეხმარონ აღმასრულებელ კომიტეტს და სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალს ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ. განსაკუთრებული დრო განსაკუთრებულ ზომებს მოითხოვს.

მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოება.

ომი აგერ მეოთხე წელიწადია გრძელდება. ცხოვრების არევ-დარევას დასასრული არ უჩანს, რადგან ბოლო არ ეღება ამ ომს. გარდა ამისა დამფუძნებელ კრების გარეკის შემდეგ ანარქია კიდევ უფრო ძლიერდება. კერძოთ კავკასიაში კიდევ უფრო მოსალოდნელია ცხოვრების არევ-დარევა. დღეს ფაქტიურათ მოწყვეტილი ვართ არა რუსეთს მხოლოდ, არამედ ჩრდილოეთ კავკასიასაც და ასე გასინჯეთ ქალაქ ბაქოსაც. ეს გარემოება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პირველ მოთხოვნილების საგნების შემცირებას და ამის გამო მათ გაძვირებას. განსაკუთრებით ეს ითქმის სანოვაგეზე. თუ კი გზების უქონლობის და ყაჩაღთა თარეშის გამო, სანოვაგის მოტანა ძნელი და საშიში გახდა, ცხადია ასეთი „რისკისთვის" ვაჭრები დიდ გასამრჯელოს მოითხოვენ და მოქალაქე იძულებული გახდება ვაჭარს თითონ შეუწყოს ხელი ნიხრის დარღვევაში და თავის მოტყუებაში.

ცხადია, უნდა მოისპოს კერძო პირების „რისკი", ეს „რისკი" საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა იდონ თავს.

აქა იქ კოოპერატივები ებრძვიან სპეკულიაციას, მაგრამ უპატრონოთ მიტოვებულნი ზოგჯერ ისინიც სპეკულიაციას ეწევიან. არც გასაკვირია: აბა რა საინტერესოა კოოპერატივმა ბაზარზე არსებულ ფასებთან შედარებით თითქმის ჩალის ფასათ ყიდონ საქონელი, როცა ხშირათ ხდება, რომ კოოპერატივიდან გატანილ საქონელს მყიდველები სასპეკულიაციოთ ხმარობენ.

საჭიროა კოოპერატივებს დახმარება გაუწიონ საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა, პირველ რიგში ქალაქის თვითმართველობებმა. თფილისის ქალაქის თვითმართველობამ უნდა დაუყონებლივ მოაწყოს სანოვაგის სავაჭროები. ასეთი სავაჭროები ქალაქს დღესაც აქვს, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს დუქნები, თუ შეიძლება ასე ითქვას, იგივეა, რაც „საცდელი მინდვრებია" სოფლის მეურნეობაში. ეს არ კმარა. ყველა ისეთი საგნებით ვაჭრობა, რომელსაც საარსებო მნიშვნელობა აქვს, ქალაქის მონოპოლიათ უნდა გახდეს. პურით, ხორცით, ნავთით, შეშით, მარილით და სხვა ასეთი საგნებით ვაჭრობა უნდა აეკრძალოს კერძო პირებს და ყველა ამას ქალაქმა უნდა მოკიდოს ხელი. ამისთვის ხაზინიდან საჭირო სესხი უნდა მიეცეს ქალაქს.

მხოლოდ ასეთი საშუალებით შეიძლება სპეკულიაციის საბოლოვოთ გაქრობა და სპეკულიანტების ალაგმვა. საჭიროა სპეკულიანტიების წინააღმდეგ ყოველგვარი სისასტიკე. მაგრამ ეს საკმაო არ არის. საჭიროა თითონ სპეკულიაციის საფუძვლის აღმოფხვრა.

## კვლავ მობილიზაციის შესახებ

კავკასია დიდი საფრთხის წინაშე სდგას, რაც ჩვენს გაზეთს არა ერთხელ აღუნიშნავს. შინაური და გარეშე მტერი ყველა ერთნაირის დაუნდობლობით ესხმის თავს ჩვენს ნორჩ თავისუფლებას და მოქალაქობრივ ცხოვრების მოსპობას ლამობს.

მტერს, შინაური იქნება ის თუ გარეშე, მოგერიება უნდა, ამისთვის საჭიროა იარაღი და შეიარაღება.

ამისთვის ორი მთავარი საშუალებაა ცნობილი. ერთია სახალხო მილიცია, ხალხის საყოველთაო შეიარაღება, მეორეა მუდმივი ჯარი.

ჩვენმა პარტიამ საბოლოვოთ დაგმო მუდმივი ჯარის პრინციპი. ამიტომ იყო მისმა ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა გადასწყვიტეს მხოლოდ სულ მოკლე ვადით მოიწვიონ ჯარისკაცები ყაზარმებში და ისიც იმ პირობით, რომ სასოფლო მუშაობისთვის საჭიროების დროს გაანთავისუფლონ. ამავე დროს გამოცხადებულ იქნება 18—45 წლიანების საყოველთაო შეიარაღება სახალხო მილიციისთვის. **საყოველთაო სახალხო მილიციის შედგენა და თან ყაზარმული წესით გაწვრთნილ ჯარის სულ მოკლე ვადით თოფქვეშ დატოვება**—ასეთია ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ ორგანიზაციების აზრი ზოგადათ გამოთქმული. პროექტის დეტალურათ შემუშავების დროს ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა დაადგინეს: ყოველგვარი შეღავათი მოსპობილ იქნას, **გარდა ერთათ ერთ შეღავათისა, ეს იქნება ოჯახის ერთათ ერთ მარჩენალთა განთავისუფლება, ხოლო ვინ უნდა** ჩაითვალოს ერთათ ერთ მარჩენალათ, ამის გადაწყვეტა სოფლის ყრილობებს და ქალაქის თვითმართველობებს მიენდობა. გარდა ამისა გაიწვევენ იმათ, ვისაც ამ წლის პირველ იანვარს ცხრამეტი წელი შეუსრულდა და ცალკე ბრძანებით ჯარში დააბრუნებენ ყველას განსაზღვრულ ასაკამდე, ვინც სახლში იმალება. ამავე დროს სასოფლო მუშაობის დროს ჯარისკაცებს სახლში გაუშვებენ.

ამ გვარათ, ხდება ერთი მხრით მობილიზაცია ცხრამეტ წლიანების და აგრეთვე იმათი, ვინც დღემდის სახლში იმალებოდა, ხოლო მეორე მხრით დემობილიზაცია განსაზღვრულ ასაკს ზემოთ. სამსახურის ადგილი იქნება სამაზრო ქალაქი.

ასეთია პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების აზრი და შეხედულება.

მაგრამ, რა დასამალია, პარტიის წევრთა შორის არის კარგა ძლიერი მიმდინარეობა ზემოთ მოყვანილ შეხედულების წინააღმდეგ მიმართული. ეს მიმდინარეობა ფიქრობს, რომ თავის დასაცავათ საკმაოა საყოველთაო მილიცია, დროებით კი ყაზარმული ჯარის მაგიერობა უნდა გასწიოს მოხალისეების რაზმებმა. ეს მიმდინარეობა არ ემყარება მარტო ზოგად მოსაზრებებს და პრინციპებს. პირიქით ის სავსებით უწევს ანგარიშებს არსებულ მომენტს, მაგრამ იმავე დროს არ ივიწყებს **ყაზარმულ ჯარის უვარგისობას**. ყოველ შემთხვევაში, ფიქრობს ის, თუ ყაზარმული ჯარი გვჭირია, როგორც ტეხნიკურათ უფრო გაწვრთნილი, ამისთვის სულ არ

არის საჭირო ცხრამეტ წლიანების მოწვევა.

„ერთობის“ რედაქცია არ ივიწყებს ამ საკითხის სიძნელეს, მით უმეტეს, რომ ის ჯერ საბოლოვოთ არ არის გადაჭრილი სათანადო დაწესებულებებში. ასეთი დაწესებულებაა გლეხთა, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების საოლქო ცენტრის კრება, რომელმაც დღეს უნდა განიხილოს ეს საკითხი.

ამიტომ ჩვენ ადგილი დაუთმეთ „ერთობის“ გუშინდელ ნომერში ამხ. დ. წერილს, რომ აღნიშნულ მიმდინარეობისთვისაც მიგვეცა საშუალება თავისი აზრი გამოეთქვა.

# პრესა

ნაციონალისტებს რომ რუსეთის დარღვევა სულით და გულით უნდოდათ, ეს ჩვენ კარგათ ვიცოდით. მაგრამ ვერ წარმოგვედგინა, თუ ისინი ისე გათავხედდებოდნენ, რომ ხალხის სახელით დაიწყებდნენ ლაპარაკს. მაგრამ ამ ქვეყნათ ყველაფერი შესაძლებელი ყოფილა და აი შავრაზმული „ვოზროჟდენიე“ და „საქართველო“ მოგვევლინენ ხალხის მხსნელების სამოსელით.

„საქართველო“ სწერს:

„დამფუძნებელ კრების გარეკის შემდეგ ქართველ ხალხის წინაშე იშლება ახალი პერსპექტივა, სრულიად თავისუფალ იმ ცრუმორწმუნეობისაგან, რომელიც ბედნიერების ეკონომიურ და პოლიტიკურ სუბორდინატში ხედავდა, იწყება ახალი ხანა ერების აღორძინებისა, რომელთა ინტერესები ისევე ძვირფასია პროგრესისა და კულტურისათვის, როგორც ინტერესები ყველა აქამდე თავისუფალ ერებისა“.

მოდი ნუ დაუჯერებთ „საქართველოს“, როცა ის ერის აღორძინებაზე და ბედნიერებაზე სწერს. ნეტა რამდენი ხანია მას შემდეგ, როცა საქართველო შავრაზმულ თავადებს ესარჩლებოდა და მიწების ჩამორთმევის წინააღმდეგ ქვეყანას აყრუებდა.

ალბათ ერი მემამულეების მუქთა ხორათა გროვას ეწოდება.

* * *

„სახალხო საქმე“ ბალშევიკურ შეხედულებებს სავსებით იზიარებს. თავიდანვე ვიცით, ამაზე „სახალხო“ შემოგვწყრება და მიგვითითებს იმ წერილებზე, რომელიც მას ბალშევიკების წინააღმდეგ დაუწერია. მაგრამ საქმე ის არის, რომ „სახალხო“ ემხრობა ბალშევიკებს მთავარ დებულებებში. შეიძლება, ეს მას წინდახედულობით მოსდიოდეს: ვინ იცის, იქნებ ბალშევიკებმა გაიმარჯვოს და ყოველ შემთხვევისთვის ცდილობენ მზათ იყვენ ამ ახალ სასიძოს შესახვედრათ. ეს „ხელობა“ ფედერალისტებმა ძველი წყობილების დროს ისწავლეს. ამიტომ არც გასაკვირია, რომ ბალშევიკების დემაგოგიურ **დეკლარაციას** ქებათა ქებას ასხამენ, **ის სრულიად ახალ ხანას** უშლის კაცობრიობას, თავის რადიკალიზმით დეკლარაცია უმაგალითოა მეოცე საუკუნეში და **რამდენადმე ამართლებს და ფარავს იმ არა კონსტიტუციონურ საბჭოს, რომელსაც ბალშევიკებმა მიმართეს დამფუძნებელ კრების წინააღმდეგ.** (ხაზი ჩვენია).

ასე მორცხვათ (ჯერ-ჯერობით) აქებს „სახალხო“ ბალშევიკებს.

* * *

„ბრძოლის“ მესვეურებმა საქმე იშოვეს. ეს „საქმეა“ „მობილიზაციის“ პროექტის გარშემო განგაში ატეხა.

ისინი კითხულობენ: „რატომ უთუოდ მობილიზაცია უნდა მოხდეს და არა ხალხის საყოველთაო შეიარაღება?“—უნდა მოვახსენოთ ამ დემაგოგებს, რომ საყოველთაო შეიარაღების მომხრენი არიან სწორეთ ის ნ. ჟორდანია და სხვა, რომელთაც ასე ლანძღავენ „ბრძოლის“ დემაგოგები.

დემაგოგები მიმართავენ ჯარში გაწვეულებს და განაგრძობენ:

„თქვენგან უნდათ შექმნან ბრმა, მორჩილი იარაღი, რომელიც ერთგულათ დაიცავს ქონების პატრონების ინტერესებს და ბატონობას, უნდათ გადაგაქციონ ზარბაზნის ლეშათ, ისე როგორც ჩვენი ძველი ჯარი იყო“.

ამგვარათ ბალშევიკები „ზარბაზნის ლეშათ გადაქცევით“ აშინებენ ჯარისკაცებს. ბალშევიკებს რომ სირცხვილი ქონდეთ, მოიგონებდენ, რომ სულ რამდენიმე დღის წინათ მოუწოდებდენ ჯარს ფრონტს ნუ დასტოვებთო. მაშინ არ იყვენ ისინი ზარბაზნის ლეში?

# ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე

**სად. შამხორი.** 10 იანვარს რკინის გზის ცენტრალურმა კომიტეტმა შამხორიდან შემდეგი დეპეშა მიიღო:

„ორი საათის განმავლობაში ზარბაზნების და თოფების განუწყვეტელი სროლა იყო. აუარებელი დაჭრილ-დახოცილი ჯარისკაცები და თათრები ყრია. დამარცხებული ეშელონი სადგურზე დგას და თათრები სძარცვავენ. სემაფორს იქით სად. ბელიარისკენ სძარცვავენ იქ მდგომ სამხედრო და სამგზავრო მატარებელს № 4. განჯიდან ითხოვეს საექიმო დახმარება და მუსულმანთა დელეგაციის გაგზავნა, მაგრამ ამაოთ. მდგომარეობა აუწერელია. დაჭრილები ჩვენ თვალწინ იხოცებიან, რადგან არავითარი დახმარება არ არის. გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოგზავნოთ ორთქლმავალები დაჭრილების გადმოსაყვანათ, რადგან აქ მდგომი ორთქლმავლების მემანქანეები და მათი თანაშემწეები დახოცეს. მოგვაქციეთ ყურადღება, ვიღუპებით, გვხოცავენ“.

ბაქოს მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრი არტემიევი დეპეშით შემდეგს იტყობინება: ჯავშნიანმა მატარებელმა კატეგორიული უარი სთქვა წავიდეს ბაქოსკენ.

მუსულმანები ჯავშნიან მატარებლის ჯართან ერთათ მოქმედობს მიმავალ ეშელონების იარაღის აყრის საქმეში. ჩვენ წინადადება მივეცით მუსულმანებს თავი დაენებებიათ, მაგრამ იგინი არ დაგვეთანხმენ. აქსტაფაში შვიდი ეშელონი სდგას. მოგვეცით განკარგულება, როგორ მოვიქცეთ.

**ბაქო.** 10 იანვარს განჯიდან პლახოვმა დეპეშით შეგვატყობინა: თფილისს. ბაქოს შუა ტელეგრაფის მუშაობა შესწყდა, არც ერთ ცენტრთან დამოკიდებულება არა მაქვს და ქიურდამირიდან გატყობინებთ, რომ შამხორსა და დალიარს შუა 9 იანვარს მოხდა შეტაკება თათართა პოლკს და მიმავალ ეშელონებ შუა, რომლებსაც იარაღს აყრევინებდენ. მოკლული და დაჭრილი აუარებელია. ჯავშნიანი მატარებელი ზარბაზნებით დაამტვრის. გაძარცვეს და ცეცხლი წაუკიდეს სამგზავრო მატარებელს № 4. მგზავრები და ჯარისკაცები თავზარდაცემული გაიფანტენ, ვინც ცოცხალი გადარჩა მიაღწია სად. შამხოს და იქიდან დაჭრილებთან ერთად განჯაში გაგზავნეს.

განჯაში 7 იანვრიდან სდგას საფოსტო მატარებელი № 3, მეორეც—ევლახში, ორივე ბაქოში უნდა დავაბრუნოთ.

ბრძოლის ადგილზე განჯიდან გაიგზავნა მატარებელი ექიმებით და სანიტარებით დაჭრილების წამოსაყვანათ, და მატარებელ № 4-ს დასახმარებლათ. ორთქმავალს წინ ბოლის ბინაზე წითელი ჯვარი ჰქონდა გაკეთებული, მაგრამ ამან ვერ უშველა, გზაზე სროლა დაუწყეს და იძულებული იყო უკან დაბრუნებული ო. რამდენიც შეეძლოთ, დაჭრილები წამოიყვანეს.

ბრძოლის ადგილას განჯიდან გაემგზავრა მუსულმანთა ორგანიზაციების დელეგაცია ხოცვა-ჟლეტის შესაჩერებლათ და ბრძოლის შედეგის გამოსარკვევათ.

**ტაუზი.** (განჯის გუბერ.). აგრარული მოძრაობის ნიადაგზე „პოგრომებმა“ ფართო ხასიათი მიიღო. მრავალია მოკლული. მათ შორის არიან მემამულენიც. მკვდრები დასწვეს. მთელი ქონება, სახლკარი ცეცხლს მისცეს.

# ჩრდილო კავკასიის ამბები

როგორც მოხსენებული გვქონდა, კავკავის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო აფიცერთა ერთმა ჯგუფმა გარეკა და საბჭოს ზოგიერთი წევრებიც დააპატიმრა. კავკავიდან მოსული გაზეთები ამის შესახებ შემდეგს სწერენ: 30 დეკემბერს საბჭოში მოვიდა ორი ჯგუფი ოსების პოლკის მხედრები თუ აფიცრები. ერთმა მათგანმა განაცხადა: კამენეც-პოდოლსკში იარაღი ამყარეს, ნივთები წამართვეს, გთხოვთ დეპეშა გაგზავნოთ, რომ ჩამორთმეული ნივთები დამიბრუნონო. მეორე ჯგუფმაც ასეთივე საჩივარი განუცხადა: არმავირში აგვყარეს იარაღი და დაგვიბრუნდესო. ამის შემდეგ აფიცრების ჯგუფმა (4—5 კაცისაგან შესდგებოდა) მხედრებს უბრძანეს დაეპატიმრებიათ საბჭოს პრეზიდიუმის წევრები ბუაჩიძე, ორახელაშვილი, რისკინი და სხვ. შემდეგ მოახდინეს ჩხრეკა. გაჩხრიკეს საბჭოში მყოფი კერძო პირებიც. ჩამოართვეს ყველას იარაღი, ფული და სხვ. წარწერა საბჭოს კარებზე ჩამოგლიჯეს, საბჭოს მთელი ბინა დაანგრიეს. ოსების ეროვნულმა საბჭომ ამის გამო სასტიკი პროტესტი განაცხადა მოძალადეთა წინააღმდეგ და საგანგებო კომისია აირჩია დაპატიმრებულთა გასანთავისუფლებლად. მოლაპარაკების დროს ოსების ცხენოსანი პოლკის უფროსმა კელლერმა დაპატიმრებულნი გაანთავისუფლა.

**კავკავი.** 10 იანვარი. თერგ-დაღესტანის მთავრობა გაქრა. ყაზახთა ჯარების მთავრობა არხონის სტანიცაში გადასვლას აპირებს. ერთათ ერთი მთავრობა ქალაქში ქალაქის გამგეობაა. თავდაცვის კომისიასთან ერთათ ქალაქის გამგეობა შეუდგა სქალაქო გვარდიის მოწყობას. მთელი ღამით ძარცვა-გლეჯა იყო. ზოგიერთ ადგილებში წინააღმდეგობა გაუწიეს თავდაცვის რაზმის წევრებმა. ღამით დასწვეს ალაგირის ქარხანა. ოსების დელეგაცია მოვიდა, რომელმაც განაცხადა, რომ მათ არ სურთ ომი. ოსების ეროვნული საბჭოც დასამშვიდებელ ზომებს ღებულობს. რკინის გზის მოძრაობა პროხლადნაიასა და ბესლანს შორის ჯერ არ შეწყვეტილა.

ოლქში ანარქიაა. ეროვნებათა ნაციონალური ბრძოლა სწარმოებს. თვით კავკავში ასეთი მდგომარეობაა: რკინის გზის სადგური დამწვარ-განადგურებულია. მოსამსახურეები გაიქცენ. მოძრაობა შესწყდა. ტელეგრაფი მხოლოდ თფილისიდან მოქმედობს. გაძარცულია ყველა სამხედრო, სასურსათო და სხვა საწყობები, მაღაზიები და კერძო ბინები. ღამ-ღამობით ცეცხლია. იწვის ყველაფერი. მცხოვრებნი გარბიან მახლობელ სოფლებში. საქართველოს სამხედრო გზა ინგუშების ხელშია. ძარცვა-გლეჯა ამ გზაზე იყო, მაგრამ მოძრაობა შეწყვეტილი არ არის. სამხედრო ოსეთის გზას არა უშავს, იქ წესიერებაა. გროზნო-ვედენის გზაზე ყველა სადარაჯო სახლები დარბეულია. ზოგიერთი ხის ხიდები დაუშლიათ, ხის მასალა წაუღიათ, მუშები გაურეკიათ. გროზნოდან 18 დღეა არავითარი ცნობა არა გვაქვს. გროზნოშიაც ისეთი ამბები უნდა იყოს, როგორც ეს კავკავშია.

# სოც.-დემ. ორგანიზაციებს

**საოლქო კომიტეტი იწვევს ყველა ორგანიზაციების წარმომადგენლებს საგანგებო თათბირზე, რომელიც გაიმართება თფილისში კვირას, დილის 12 საათზე, გოლოვინის პროსპ., № 12. გადასაჭრელია საკითხი ჯარის მოწყობის შესახებ. უნდა დაესწრონ ორ-ორი, ან თითო წარმომადგენელი მაინც.**

# ახალი ამბები

**მიწის საკითხის გარშემო.** როგორც ამიერ-კავკასიის კომისარიატს ატყობინებენ ქუთაისის გუბერნიის საადგილმამულო კომიტეტს შემდეგი დადგენილება მიუღია: 1) კავკასიის საადგილმამულო კომიტეტის საშუალებით აღიძრას შუამდგომლობა ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინაშე, რომ მან საგანგებო აქტით გამოაცხადოს ხალხის კუთვნილებათ მიწის გულში არსებული სიმდიდრე და თავის მხრით ასეთ აქტის გამოცემამდე აკრძალოს ყოველგვარი ვაჭრობა ამ სიმდიდრით; 2) გამოცხადდეს ხალხის კუთვნილებათ გუბერნიის ყველა ტყეები და გადავიდეს ეს ტყეები საადგილ-მამულო კომიტეტების განკარგულებაში. მეპატრონეებს უნდა დაუტოვონ მხოლოდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას მოკლებული პატარა ტყეები. ვაცნობებთ რა ამ დადგენილებებს, ეთხოვოს ამიერ-კავკასიის კომისარიატს დაუყონებლივ გააუქმოს მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამართველო დღევანდელი სახით და საკითხის გადაჭრამდე ხსენებული სამართველო დაექვემდებაროს გუბერნიის საადგილ-მამულო კომიტეტს. სამაზრო კომიტეტი საჩქაროთ არკვევს, თუ რომელი სხვილი მამულები უნდა გადავიდეს საადგილ-მამულო კომიტეტების ხელში.

**ქალაქის დაცვა.** წარსულს კვირას მოხდა სახლის პატრონთა და ბინის დამქირავებელთა პროფესიონალურ კავშირების გამგეობათა წევრების, თვით დაცვის ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სხ. მოქალაქეთა შეერთებული კრება. გამოირკვა, რომ ქალაქის განათების საქმე ცუდათ არის მოწყობილი, მაშინ, როცა პროჟექტორებს, კლუბებს და სხ. უხვათ აწვდიან სინათლეს. არ არის მოწესრიგებული არც ქალაქის დაცვის საქმე. ვინაიდან ყველა ამ საკითხების მოწესრიგება შეადგენს ქალაქის გამგეობის მოვალეობას, კრებამ დაადგინა მისცეს წინადადება ქალაქის გამგეობას 1) ქალაქის გაუნათებელ ქუჩების დაუყონებლივ განათების შესახებ, ამ მიზნით თანასწორათ უნდა იქნას განაწილებული მომხმარებელთა შორის ყველა სადგურების ელექტრონის ენერგია; პირველ რიგში უნდა იდგეს ქუჩების განათება, 2) უნდა აიძულონ მილიციონერები აუცილებლათ აასრულონ თავის მოვალეობა პოსტზე დგომისა და ქალაქის დაცვის საქმეში, 3) სახლის პატრონებმა უნდა გაანათონ აუცილებლათ ქუჩის ფარნები; 4) ამ წინადადებათა ასლი გადაეცეს ადგილობრივ მთავრობას შუამდგომლობით მათი სისრულეში მოყვანის შესახებ: 5) ხელი უნდა შეუწყოთ ქუჩის და რაიონის დაცვის მოწყობას; 6) აღიძრას შუამდგომლობა ადგილობრივ მთავრობის წინაშე საკმაო იარაღის მოცემის შესახებ დარაჯების შესაიარაღებლათ, ამ მიზნით არჩეულ ორგანიზაციის პასუხის მგებლობით.

**დაკავებული შაქარი.** სავაჭრო-სამრეწველო საქმეთა სამინისტროს კომისარმა მიმართა თხოვნით თერგისა და დაღესტნის მთავრობას გაანთავისუფლოს ის 2 ვაგონი შაქარი, რომელიც გამოგზავნილი იყო სპარსეთის საანგარიშო—გამსესხებელ ბანკის სახელზე, მაგრამ გზაში პეტროვსკის სასურსათო გამგეობის განკარგულებით დააკავეს მცხოვრებთათვის დასარიგებლათ.

**ცუდი ღირსების პური.** მე-7 კომისარიატის ქალაქის ფურნეში 10 იანვარს გამომცხვარი პური იმდენათ ცუდი ღირსების აღმოჩნდა, რომ მყიდველებმა უარი განაცხადეს მის წაღებაზე, ბევრმა უკან მოითხოვა პურში მიცემული ფული. ამ ნიადაგზე ფურნის გამგესა და მყიდველებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, ატეხილი ჩხუბი კინაღამ თვითგასამართლებამდე არ მივიდა.

**„ახალი კვალი“.** რედაქციამ მიიღო ახალგაზრდა მარქსისტთა ჟურნალი „ახალი კვალი“ № 1. ჟურნალში მოთავსებულია ნოე ჟორდანიას და სილიბისტრო ჯიბლაძის სურათები. წერილები: ჩვენი დროშა—რედაქციისაგან, ორი მებრძოლი, ძველი და ახალი („ორი მარქსიზმი“), ეროვნული პრობლემა და მარქსიზმი, სადღეისო კითხვები, კოოპერაცია და ქართველი ს.-ფედერალისტები, ლექსები და სხ. ჟურნალი საერთოდ შინაარსიანია, სუფთათაა გამოცემული და ღირს 40 კაპ.

**სურსათი.** 11 იანვარს თფილისში შემოიტანეს 1 ვაგონი საქონლის საკვები.

**ფქვილი.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი ამ დღეებში მოელის ფოთიდან და ბათუმიდან 28 ვაგონ ფქვილს. 10 ვაგონი ფქვილი გზაში ყოფილა.

**შაქრის მონოპოლია.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა ამიერ კავკასიის კომისარიატის წინაშე გადაიდეს 1 თებერვლამდე შაქრის მონოპოლიის შემოღების დრო.

**გ. ქუჩიშვილის დილაში** სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებენ: დ. კასრაძე,—ლექცია: ვაჟა ფშაველა და მისი პოეზია; დივერტისმენტში—ვ. რუხაძე, თაგუნა, ობოლი მუშა, დარია ახვლედიანისა, ლეო ქიაჩელი, ვეფხო ფშაველა, ვ. საათაშვილი და სხვა. ბილეთები იყიდება კანტორა „განათლებაში“ და კვირა დღეს კი ქართულ კლუბში.

**თფილისის გუბერნიის შრომის კომისარი** აცხადებს, რომ შრომის კომისარიატი 10 იანვრიდან მოთავსებულია ბებუთოვის ქუჩაზე № 15. კომისარიატი იღებს ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა დილის 10—3 საათამდე.

**ახალი ბონების კონკურსი.** ამიერ კავკასიის კომისარიატმა ერთხმად მოიწონა ახალი ბონის (100 მანეთიანის) პროექტი მხატვარ გ. ტერ-მიქელოვისა. პროექტი შედგენილია რუსულ, ქართულ, სომხურ და სპარსულ სტილზე. დანარჩენი 30 პროექტი უარყოფილ აქნა. ტერ-მიქელოვს მიენდო შეადგინოს აგრეთვე 5 მანეთიანი ბონის პროექტი.

**სატრაქტირო გადასახადის** გადიდების გამო გაიფიცენ ყველა სარდაფების და სასადილოთა პატრონები.

**ბავშვის დაკარგვა.** 3 იანვარს დილით 7 საათზე სახლიდან გავიდა 10 წლის ბავშვი სერგო ერემოვი, რომელიც მიდიოდა მაღაზიაში მუხრანის ხიდთან. მას უნდა გაევლო ჩერქეზოვის და 19 თებერვლის ქუჩები. თუ ვინმემ იცის რაიმე ამ ბავშვის შესახებ, ვსთხოვთ გამოაცხადოს სამილიციო უბნის კომისარიატში. ბავშვის ნიშნები: ძალზე ლამაზია, პატარა ტანისა, თავზე ახურავს შავი ბუხრის ქუდი, ტანზე აცვია ხალათი, ჩვენი მისამართი: მილიუთინის ქუჩა (მე-10 სამილიციო უბანი) სახლი № 14. მელიქ ზაზიანცი.

**სომეხ-მუსულმანთა** თათბირი დასრულდა. თათბირში მონაწილეობას იღებდენ სომეხთა ეროვნულ საბჭოს და მუსულმანთა ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენლები. თავმჯდომარეობდა მ. ჯაფაროვი. განიხილეს საკითხი, თუ როგორ უნდა ებრძოლონ ანარქიას მუსულმანებითა და სომხებით დასახლებულ გუბერნიებში და ოლქებში. დაადგინეს: სომეხთა ეროვნულ საბჭოს და მუსულმანთა ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენლებისაგან შეადგინონ სომეხ-მუსულმანთა ბიურო, რომელიც გამოიმუშავებს ზომებს ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

**ამიერ კავკასიის კომისარიატმა** 9 იანვრის სხდომაზე დაადგინა კავკავში, აღსტაფაში და სხ. ადგილებში მომხდარ ამბების ლიკვიდაცია მ. ჯაფაროვის წინადადებით დაევალოს კომისარიატის თავმჯდომარეს ევგენი გეგეჭკორს, აკაკი ჩხენკელს, ხ. მელიქ-ასლანოვს და ვ. გობეჩიას.

**შრომის სამინისტროს კომისარიატთან** 11 იანვარს შესდგა თათბირი, რომელმაც გაარჩია შემდეგი კითხვები: 1) მუდმივი თათბირის მოწყობა; 2) გამოცემულ დეკრეტების ახსნა-განმარტება; 3) შრომის ბირჟები; 4) მუშათა მდგომარეობა ჯარში გაწვევის გამო.

**კრებები და მიტინგები.**

12 იანვარს, სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია კავკასიის მუშ.თა, ჯარისკაცთა და გლეხთა ცენტრების სხდომა. დღის წესრიგი: 1) დამფუძნებელი კრების გახსნა; 2) საარტილერიო საწყობის იარაღით შევსება; 3) ჯარში გაწვევა; 4) ცენტრის პრეზიდიუმის არჩევა.

— პარასკევს, საღამოს 5 ს., სახელოსნო სასწავლებლის შენობაში (ეგზარხის მოედანი) დანიშნულია მე-4 და მე-5 სამილიციო უბნის წითელ-გვარდიელთა კრება.

— ქართველ ვაჭარ და მრეწველთა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე იწვევს კომიტეტის წევრებს მობრძანდენ პარასკევს, 12 იანვარს დღის 12 საათზე კომიტეტის კრებაზე ამიერ-კავკასიის ბანკში (ლორის-მელიქოვის ქუჩა).

# პროვინციის ქრონიკა

**ველისციხე.** ადგილობრივ სამკითხველოს გამგე ალექსანდრე ბაირამაშვილმა ალ. ბერიაშვილის შემწეობით, 2 იანვარს სამკითხველოს სასარგებლოთ მოაწყო საღამო, წმინდა შემოსავალი 150 მან. გადაეცა დანიშნულისამებრ. ეს მესამე კვირაა მთელს კახეთში საშინელი ნავთის კრიზისია. თუ სადმე იშოვება გირვანქა 1 მ. 50 კ. ღირს. ალაზნის გაღმა პური კოდი (3 ფ. 10 გ.) ღირს 180 მან.; სიმინდი 90 მან., ველისციხეში ხორცი ღორისა იყიდება გირვანქა 3 მანეთად, ძროხისა 2 მ., ცხვრისა 2 მ. 50 კ. ინდაური ღირს 45-50., ქათამი 10 მან. ყაჩაღობამ ველისციხის რაიონში ცოტა იკლო. სამაგიეროთ გახშირდა სხვა ადგილებში. ამ ორ კვირის წინ ს. ვაჩნაძიანში გატეხეს კოოპერატიული დუქანი. როგორც ამბობენ ხალხმა იცის ვინცაა ბოროტმოქმედი, მაგრამ შიშით არ ამბობენო. სხვათა შორის მილიციონერებზე ჰქონიათ ეჭვი.

**ს. ნაგომარი** (გურია). მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს საოლქო კომიტეტის წინაშე, რათა მათ მიეცეს დახმარება ხაზინიდან პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებლის მასწავლებლებისთვის ჯამაგირის მიცემით. საოლქო კომიტეტმა ეს შუამდგომლობა ამიერ კავკასიის სამოსწავლო კომისარიატს გადასცა.

— ბორჩალოს სამაზრო კომისარის თანამდებობას როგორც დანამდვილებით გავიგეთ ყოფილი „პრისტავი“ ავალოვი ასრულებს თურმე. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

# მარქსი და სოციალური რევოლიუცია

ამ სათაურით „ნოვ. ჟიზნ“-ში მოთავსებულია ვიაჩ. პოლონსკის შემდეგი წერილი:

1848 წელმა მარქსს იმ დროს უსწრო, როცა ის გაძევებული იყო. მაგრამ ის ელოდა, რომ ჩქარა ასტყდებოდა ქარბუქი. ამის წინამორბედი რეაქციონურ ევროპის ჩამობნელებულ ცაზე პირველი გაკლაკნილი ელვა იყო „კომუნისტური მანიფესტი“, რომელიც ერთი წლის წინათ გამოქვეყნდა.

გაისმა თუ არა პირველი ქექა-ქუხილის ძლიერი ხმა, მარქსი გერმანიისკენ გაეშურა. სახალხო აჯანყებამ, რომელსაც ასე გულის ფანცქალით ელოდენ და რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდენ, მარქსს ძლიერი იმედის ცეცხლი ჩაუნთო გულში, რომ შეიძლებოდა ისტორიის მიერ წამოყენებულ პრობლემების ძირიანათ და საჩქაროთ გადაჭრა. „კომუნისტურ მანიფესტის“ სიტყვით რომ ვსთქვათ, მარქსი დარწმუნებული იყო, რომ ნემეცთა ბურჟუაზიული რევოლიუცია შესავალი იყო პროლეტარულ რევოლიუციის, ე. ი. სოციალისტურის.

მარქსი ღრმათ დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდენ. ბურჟუაზია უკიდურეს რევოლიუციონერათ აჩვენებდა თავს—მის ისტორიაში ჯერ კიდევ არ დაწერილიყო მისი ღალატის შავი ფურცლები. რევოლიუციამ ბურჟუაზიულ კლასთა ინტერესებისთვის აბსოლიუტიზმის გარდა ლიკვიდაცია მოახდინა მეურნეობის ყველა ჩამორჩენილ ფორმების. ბურჟუაზიის პოლიტიკურ ბატონობას, მარქსის აზრით, უნდა მოჰყოლოდა მრეწველობის ფართეთ განვითარება. მრეწველობის განვითარებით კი უზრუნველყოფილი იყო პროლეტარიატის ზრდა-განვითარება. რევოლიუციის შემდეგი საფეხური აუცილებლათ უნდა ყოფილიყო პროლეტარიატის და ბურჟუაზიის შეტაკება, პროლეტარიატის მიერ პოლიტიკურ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, საჭირო სოციალურ რევოლიუციის მოსახდენათ.

მთელ ევროპაზე მოდებულ აგუზგუზებულ ცეცხლის ალის სინათლეზე მოსჩანდა, თითქოს შესაძლებელი იყო ამ აზრის განხორციელება. მარქსს შესაძლებლათ მიაჩნდა მთელი ევროპის ქვეყნების აჯანყება, არა მარტო საფრანგეთის და გერმანიის, არამედ—ინგლისისაც. რევოლიუციის მსოფლიო ხასიათი კი გამარჯვების მთავარი პირობა იქნებოდა. პროლეტარულ რევოლიუციას მხოლოდ მაშინ შეეძლო გამარჯვების მოპოვება, უკეთუ ის მსოფლიო ხასიათს მიიღებდა. ყოველივე განკერძოებული გამოსვლა რომელიმე ერთი ქვეყნის პროლეტარიატის სოციალურ რეფორმების მოსახდენათ უთუოთ დამარცხებით გათავდებოდა.

მაგრამ რევოლიუციონერმა გრიგალმა მთელი მსოფლიო ვერ გადალახა. ბურჟუაზიამ ვერ გაამართლა იმედები, ის ვერ გამოდგა რევოლიუციონერი, პირველ გამარჯვებისთანავე მან ძველ პატრონებთან მორიგების გზას დაადგა. მუშათა მოძრაობა ჩაახრჩვეს.

მაგრამ, როცა 48 წლის რევოლიუციის ქექა-ქუხილი შესწყდა და მარქსი ისევ გააძევეს, მას მაინც კიდევ იმედი ულვივოდა და „პერმანეტნი“ (განუწყვეტელი) რევოლიუციის და ეს აზრი გონებიდან ვერ მოეშორებია.

ლონდონის კომუნისტთა კავშირის მიერ გამოცემულ მოწოდებაშიაც, რომელიც მარქსის შეხედულების გამოხატულება იყო, „პერმანეტნი“ (განუწყვეტელი) რევოლიუციის შესახებ ისეთივე აზრი იყო გატარებული.

ამ მოწოდებაში ნათქვამია: „იმ დროს, როდესაც დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიას უნდა რაც შეიძლება ჩქარა გაათავოს რევოლიუცია, ჩვენი ინტერესები მოითხოვს, რაც შეიძლება გავაგრძელოთ ის, რომ ის იქნეს განუწყვეტელი (პერმანენტნი), მანამდე სანამ პროლეტარიატი შესძლებს მოსპოს ბურჟუაზიის ბატონობა და ძალა-უფლება ხელში ჩაიგდოს და ყველა ქვეყნებში პროლეტარების ხელში მოხდეს საწარმოო ძალთა კონცენტრაცია“.

აქედან ის დასკვნა გამოჰყავდათ, რომ მუშებს უნდა შეექმნათ კლასობრივი პარტია და მათი ლოზუნგი უნდა ყოფილიყო განუწყვეტელი რევოლიუცია.

მაგრამ, სამწუხაროთ, რევოლიუციის ამ პოეტურ აღმაფრენას, სინამდვილემ ჩქარა ფრთები მოსტეხა. რეაქციამ უფრო მაგრათ მოუჭირა მუხრუჭი თავისუფლებას, ევროპის გაბრწყინებულ ცაზე შავი ღრუბლები წარმოიგრაგნა. და ბოლოს თვით მარქსისთვისაც აშკარა შეიქნა, რომ განუწყვეტელი რევოლიუცია ნამდვილი უტოპია იყო.

მარქსი თეორეტიულ მუშაობაში ჩაება. და თავის შესანიშნავ ნაწარმოებში ნათლად დაამტკიცა, თუ რა უტოპია იყო განუწყვეტელ რევოლიუციაზე ფიქრი.

ენგელსიც, რომელმაც მარქსთან ერთათ გაიარა ყველა აღფრთოვანების და უიმედობის საფეხურები, დაცინვით იხსენიებდა თავის წერილებში „სოციალურ“ რევოლიუციაზე იმ დროის ოცნებას და ასეთი დასკვნა გამოიყვანა ამ ეპოქის შესახებ:

„ისტორიამ ნათლათ დაკვიმტკიცა, რომ ყველა ჩვენ და ვინც კი ამ დროს ჩვენსავით აზროვნობდა შემცდარი ვიყავით. ისტორიამ გვაჩვენა, რომ კონტინენტზე ეკონომიური განვითარება იმ საფეხურზე არ იდგა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო კაპიტალისტურ წარმოების გაუქმება“.

მან სასტიკათ გაილაშქრა იმ უტოპისტების წინააღმდეგ, რომლებსაც უნდოდათ რევოლიუციის სწრაფათ წაყვანა იმ დროს, როდესაც ამისთვის არავითარი ობიექტიური პირობები არ იყო.

მარქსი სასტიკ ბრძოლას ეწეოდა მის „ამხანაგებთან“ მარცხნით—ვეიტლანგიდან ბაკუნინამდე და ეს ბრძოლა იყო რევოლიუციონურ მარქსიზმის ბრძოლა, რომელიც დამყარებული იყო არსებულ ობიექტიურ პირობებზე.

ჯერ კიდევ გაზეთ „რეინის ახალ გაზეთში“ მარქსმა შხამიანათ დაახასიათა ამ მოღვაწეების მოქმედება, რომელნიც მუშათა ორგანიზაციების ადგილზე რევოლიუციონურ შეთქმულობას აყენებდენ.

„შეთქმულებს უნდათ—სწერდა მარქსი—რომ ხელოვნურათ დააჩქარონ რევოლიუციონური პროცესი, ხელოვნურათ გამოიწვიონ მისი კრიზისი და ადრე მოახდინონ ის. რევოლიუციის მოსახდენათ მათთვის საკმაოა მხოლოდ შეთქმულობის მოხდენა. იგინი წარმოადგენენ რევოლიუციის ძველ ჯადოქრებს და სავსებით იზიარებენ მათ აზრს. იგინი ცდილობენ გამოიგონონ ისეთი რამ, რომელსაც რევოლიუციონური სასწაულის მოხდენა შეეძლოს. ყუმბარები, ჯოჯოხეთის მანქანები, ბუნტი და სხვა ამისთანები მათი აზრით ერთად-ერთი საშუალებაა რევოლიუციონურ სასწაულის მოსახდენათ.

ასეთ აზრით გატაცებულებს მათ მხოლოდ ახლობელი მიზანი აქვთ სახეში, სათანადო მთავრობის ჩამოგდება და ამავე დროს ზიზღით უყურებენ მუშათა თეორიულ განვითარებას და მათში კლასობრივ ინტერესების გაღვივებას“.

ერთ იმ დროის „რევოლიუციონურ“ ფრაქციას მარქსი ასე ახასიათებს:

„კრიტიკულ შეხედულობის მაგიერ უმცირესობა დოგმატიურ შეხედულებას აყენებს, მატერიალისტურის მაგიერ იდეალისტურს. რევოლიუციის მამოძრავებელი ძალა მათთვის მხოლოდ მარტო ნებაა. ჩვენ ვეუბნებით მუშებს: თქვენ 15, 20 და 50 წელს უნდა გასწიოთ ურთიერთ შორის და საერთაშორისო ომი, **არა მარტო იმიტომ, რომ შესცვალოთ გარეგანი პირობები, არამედ იმიტომ, რომ შესცვალოთ თავის თავი, რომ შესძლოთ პოლიტიკურ ბატონობის მოპოვება.** თქვენ კი წინააღმდეგ ამბობთ: ჩვენ ეხლავე ხელში უნდა ჩავი-

გდოთ ძალა-უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ დავიძინებთ. იმ დროს, როდესაც ჩვენ ვუჩვენებთ სპეციალურათ ნემეც მუშებს, რომ გერმანიის პროლეტარიატი არ არის განვითარებული, თქვენ პირმოთნეთ იქცევით, რაც თქვენ პოპულიარობას, რასაკვირველია, ხელს უწყობს. როგორც დემოკრატებმა სიტყვა **ხალხი,** რაღაც ღვთაებრივ სიტყვათ გადააქციეს, ისე იქცევით თქვენ სიტყვა **პროლეტარიატის** შესახებ. დემოკრატებივით თქვენ გინდათ რევოლიუციონურ განვითარების მაგიერ რევოლიუციონური ფრაზები გაასაღოთ".

ეს გრძელი ციტატები აშკარათ ამტკიცებს თუ რა შედეგი მოჰყვება იმ დიდი ხნის დაგმობილ უტოპიურ აზრების გამარჯვებას.

ყველა, ვისთვისაც ძვირფასია რევოლიუცია და მუშათა ინტერესები, ვისთვისაც კაცობრიობის ისტორია რევოლიუციონურ სურათების ესტრადა არ არის, უნდა დაუკვირდეს წარსულის ამ მწარე გამოცდილებას.

# მუშათა წერილები

### ბალშევიკები, როგორც უარმყოფელნი ხალხის უფლებებისა.

მუშათა კლასის დიდი ხნის მოთხოვნილება იყო კრების, სიტყვის, პრესის და ხალხთა წარმომადგენელთა თავისუფლება. შავბნელი რეაქციის დროს, როდესაც დევნილი იყო მუშათა კლასი, მაშინ მას უხდებოდა მუშაობა ბნელ სარდაფებში, ჯურღმულში. მუშათა კლასი თავისი არა ლეგალური მუშაობით სჭედდა თავის მომავალს. მუშათა კლასმა თავისი არა ლეგალური მუშაობით შესძლო თვითმპყრობელი მეფის ტახტის დაქცევა. ამ დღიდან მისთვის ფაქტი შეიქნა, დიდი ხნის ნატვრა, კრების, სიტყვის და პრესის თავისუფლება. რევოლიუციის პირველ დღიდანვე რევოლიუციონურ ორგანოების ცენტრი მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები შეუდგენ მუშაობას დამფუძნებელი კრებისათვის. ჩვენ ვსთქვით, რომ მუშათა კლასის მოთხოვნილება იყო პრესის, სიტყვის, კრების თავისუფლება. სანამ მთავრობას ბალშევიკები ხელში ჩაიგდებდნენ, მანამდე მუშათა კლასი ამ თავისუფლებით სარგებლობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც პეტროგრადში ახალი თვითმპყრობელი ლენინია, აი სწორეთ მას შემდეგ რუსეთის მუშათა კლასის დიდი ნაწილისათვის მოისპო თავისუფლება. იხურება მენშევიკების და ესერების გაზეთები. ვის არ ალაშფოთებდა მათი მოქმედება, რომელიც მიმართული იყო ცნობილი სოციალ-დემოკრატიის მამათმთავრის მოხუცის გიორგი პლეხანოვის შეურაცყოფა, რომელსაც უწოდეს კონტრ-რევოლიუციონერი და რევოლიუციის გამყიდველი. ვის არ აღაშფოთებდა ის გარემოება, რომ ბალშევიკებმა გარეკეს დამფუძნებელი კრების თათბირი და მით ფეხქვეშ გათელეს იმ ხალხის ინტერესები, ვინც მონაწილეობა მიიღო დამფ. კ. არჩევნებში. ბალშევიკები თავიანთ თავს მუშების და გლეხების მთავრობას უწოდებენ, მაგრამ იმავე დროს არ ინდობენ იმ ხალხს, ვინც ამ ხალხის ნება სურვილებს გამოხატავს. და როდესაც ყოველივე ამის შემდეგ, რუსეთის გლეხთა დიდი ნაწილის აღშფოთება და გულის წყრომა მიმართულია ბალშევიკების წინააღმდეგ, ისინი მაინც გაიძახიან: „ჩვენ გლეხების მთავრობა ვართო". ასეთია ამ ხალხის მდგომარეობა, მას რუსეთის მშრომელი გლეხობა და პროლეტარიატის შეგნებული ნაწილი არ ცნობენ, ისინი მაინც ეუბნებიან, ჩვენ შენი მთავრობა ვართო. ბალშევიკები ფეხქვეშ თელავენ დემოკრატიის ინტერესებს და იმავე დროს იძახიან „ჩვენა ვართ ხალხის მხსნელიო". მკითხველს ეხსომება, რომ დროებითი მთავრობა ისეთი დიდი და რთული კითხვების გადაჭრას როგორიც არის მიწის საკითხი და ნაციონალურ დამფუძნებელ კრების კომპეტენციათ თვლიდა. მაგრამ დახეთ უბედურებას, როდესაც ბალშევიკები გაბატონდენ ცენტრში სხვა დეკრეტებთან ერთად გამოსცა მინისტრმა ჯუღაშვილმა-სტალინმა დეკრეტი, რომლის საშუალებით ერებს ენიჭებოდა თვითგამორკვევის უფლება. ბევრმა ეროვნებებმა არ იცნო ლენინის თვითმპყრობელობა და გამოაცხადეს დამოუკიდებლობა. ასე მოიქცა მაგალითად უკრაინა. და, როდესაც ბალშევიკების დეკრეტი ცხოვრებაში განხორციელდა, შემდეგ თვით ბალშევიკებმა დაიწყეს ბრძოლა მის წინააღმდეგ. კავკასიაში მცხოვრებმა ერებმა შექმნეს საკუთარი თვითმართველობა. ეს მოხდა აქ მცხოვრებ ერთა შეთანხმებით. ბალშევიკები ამის წინააღმდეგ იბრძვიან და მათი ხელმძღვანელები შაუმიანი და კამპანია რუსის ჯარისკაცებს ეუბნება: კავკასია გამოეყო რუსეთს და გაჭირვების დროს გიღალატათო. ამ რიგათ ბალშევიკები დღიდან გაჩენისა, ენერგიულ მუშაობას ეწეოდენ, რათა მუშათა კლასის ოჯახში მოეხდინათ განხეთქილება. ისინი თავიანთი ვიწრო ფრაქციულ ინტერეს მაღლა აყენებდენ, ვინემ მუშათა კლასის და რევოლიუციის ინტერესებს. ბალშევიკებმა ფეხქვეშ გათელეს რუსეთის თავისუფალ მოქალაქეთა ინტერესები. დღიდან თავიანთი გაბატონებისა მოსპეს სიტყვის, კრების და პრესის თავისუფლება. არ დაინდვეს ხალხის უდიდესი ავტორიტეტული ორგანო, დამფუძნებელი კრება და პირველი შეკრების თანავე გარეკეს. ბალშევიკებმა უარყვეს ერთა თვით გამორკვევის უფლება, აგრეთვე უარყვეს ზავის საერთაშორისო ფარგლებში მოხდენა და გერმანიის მთავრობასთან დაიჭირეს საქმე. მათმა გაბატონებამ რევოლიუცია უფსკრულისაკენ გადააქანა, წესრიგის მაგივრათ გამეფდა ანარქია. ამან ხელი შეუწყო ბნელი ძალების ამოძრავებას.

ამხანაგო მუშებო! რევოლიუცია, რომელიც სისხლით მოვიპოვეთ განსაცდელშია, მას შველა უნდა. მაშ, შევიარაღდეთ და გვერდში ამოუდგეთ რევოლიუციონურ ორგანოებს—მუშათა და სალდათთა საბჭოებს. ჩვენ შეიარაღებულ ძალით დავიცვათ დამფუძნებელი კრება.

**ი. სადემეტროველი.**

# პატარა ფელეტონი

### ჭამის გამგეობა.

ყოველ დაწესებულებას თუ საზოგადო საქმეს სათავეში უდგას გამგეობა, ასე იყო ეს წინათ და ასე არის ეხლაც. ამ გამგეობას, რასაკვირველია, შეადგენდენ ცოცხალი ადამიანები, ამ ადამიანებს ჭამა უნდოდათ და სჭამდენ, ასე იყო წინათ და ასე არის ეხლაც. მაგრამ ჭამაც არის და ჭამაც! წინათ საზოგადოება თუ დაწესებულება ანგარიშს არ უწევდა გამგეობის რომელ წევრს როგორი მადა ჰქონდა და რამდენის შეჭმა და მონელება შეეძლო მის სტომაქს, წინათ გამგეობის წევრებს ჯამაგირებს უნიშნავდენ, ეხლა კი ასე არ არის. ამ რევოლიუციის დროს ბალშევიკურმა ტაქტიკამ ამ დარგსაც ჰკრა თავისი მძლავრი წიხლი და შეანგრია, რევოლიუციონური წეს-რიგი შეიტანა იქ. ეხლა გამგეობა თვითონ ირჩევს თავისთავს და თვითონ ინიშნავს ჯამაგირს, რომელსაც საფუძვლათ ედება წევრის კუჭის მოხაზულობა და მისი საერთო მოყვანილობა. ე. ი. თვით იმ გამგეობის წევრს, რომელმაც თავის-თავი აირჩია ჯამაგირის დანიშვნის დროს სახეში აქვს თავისი მადა. ასეთი ბალშევიკური გამგეობა ამ დღეებში აურჩევია ქართულ ლატარიის გამმართველ კომიტეტს, ე. ი. ამ კომიტეტს თავის-თავი აურჩევია გამგეობათ ე. ი. კომიტეტი გამგეობათ გარდაქმნილა. პირველ მრავალრიცხოვან კრებაზე ყოფილ კომიტეტს და ეხლა გამგეობას ლაპარაკი ჰქონია ჯამაგირების შესახებ. ყველამ რასაკვირველია, თავის მადის შესახებ საჭირო საბუთები წარმოადგინა. თავმჯდომარე იასონ ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ ამიერ-კავკასიის ბანკიდან ვიღებ 27.000 მანეთს და აგერ თითქმის ერთი წელიწადი გადის, რაც ბანკში ვმსახურებ და ჩემს ორგანიზმს არაფერი დაეტყო, ჩემი გასუქება არ იქნა, ამიტომ საჭიროა ჩემი ჯამაგირი 35.000 მანეთათ გავხადოთო, დანარჩენი წევრები ამ დაურღვეველ აზრს ერთხმათ დაეთანხმენ. იასონ ლორთქიფანიძეს როგორც გამგეობის თავმჯდომარეს, დაენიშნა 8.000 მანათი, თავიანთი აზრი გამოსთქვეს დანარჩენმა წევრებმაც პ. ქავთარაძემ, შ. დადიანმა და სოლ. ახვლედიანმა, და მათაც შეურყეველი საბუთები წარადგინეს, რომ თვითოეულ მათგანისთვის საჭიროა ჯამაგირათ 6.000 მანათი. რასაკვირველია კრებამ ესეც უხმოთ მიიღო.

გამგეობის წევრებმა თავის თავი აირჩიეს და ჯამაგირებიც დაინიშნეს. ეხლა საჭირო იყო გამოერკვიათ საიდან აეღოთ ეს ჯამაგირები.

მეორე კრება ამ საკითხს მოანდომეს. ბევრი კამათისა და კვლევა-ძიების შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ქართველ საზოგადოებას უკანასკნელი გროშები შეუგროვებია თეატრის ასაშენებლათ და ეს ფულები დღემდე შეუჭმელი გადარჩენილა. გამგეობის წევრებს გაუკვირდათ ქართველების ასეთი სულგრძელობა და მოთმინება და დაადგინეს მყისვე შეუდგენ ამ ფულების შეჭმას. ჯერ-ჯერობით განზრახული აქვთ გადაითრიონ ამ წვითა და დაგვით შეგროვილ ფულებიდან 50.000 მანათი და სჭამონ, როცა ამას მორჩებიან დანარჩენსაც შესჭამენ.

კი, მაგრამ ეხლა ერთი ვიკითხოთ: რისთვის შესდგა ეს კომიტეტი და გამგეობა? ეჰვი არაა იმისთვის, რომ ჯერ შესჭამონ მოგროვილი ფული და მერე კიდევ, რასაც მოაგროვებენ, იმის ჭამას შეუდგენ. ასე რომ, გამგეობა მხოლოდ მარტო ჭამას მოუნდება და ქართული თეატრი კი თავის დღეში ველარ ეღირსება საკუთარ ბინას. უმჯობესი იქნება შენახული ფული შეუჭმელი დარჩეს და გამგეობის წევრნი თავის ჯამაგირებით დაკმაყოფილდენ, ეს ქართველ საზოგადოებისთვის კარგი იქნება და თეატრის აშენების საქმესაც წინ წასწევს.

**თეატრის მეგობარი.**

# ამიერ-კავკასიის მუშ. დეპ. საოლქო ცენტრის კრება

10 იანვარს შესდგა მორიგი კრება მუშათა ცენტრისა. გაირჩა შემდეგი საკითხები:

1) სახნოვსკის მოხსენების შემდეგ არჩეულ იქნა კომისია მუშათა საქმეებისა შვიდი კაცისაგან, ამათში სამი (მინ. ტოროშელიძე, სახნოვსკი და გულუმიანცი) მუდმივათ უნდა იმყოფებოდენ განსაზღვრულ ვადით ცენტრის სადგომში, დანარჩენი ოთხი შეძლებისდაგვარათ უნდა მუშაობდენ—ესენი არიან: აზატიანი, ბადრიძე, ნინიძე და იაკჯიანი.

ამავე კრებამ აირჩია წარმომადგენლები საქარხნო თათბირზე, რომელიც თვეში ერთხელ იმართება.

ქიათურელ ამხანაგების შუამდგომლობა ამხ. ბერძნიშვილის შესახებ დაკმაყოფილებულ იქნა, ე. ი. სადაც ჯერ არს აღძრული იქნება საჭირო შუამდგომლობა.

კამათი გამოიწვია საკითხმა რუსების ეროვნულ საბჭოში დელეგატების გაგზავნის შესახებ. **სახნოვსკიმ** განაცხადა—ეროვნული საბჭოები ეროვნულ შულლის მთესავ ორგანიზაციებათ გადაიქცენო. **აზატიანიც** იმ აზრისაა, რომ ეროვნული საბჭოები არამკითხე ორგანოებათ გადაიქცენ. ნ. ჟორდანია ამბობს: მე როგორც თავმჯდომარე ქართულ ეროვნულ საბჭოსი ვაცხადებ, რომ ქართული ეროვნული საბჭო არ წარმოადგენს პოლიტიკურ უფლებებით აღჭურვილ ორგანოს.

რადგან კითხვა სერიოზულათ იცვნეს და წესრიგში არ იყო დასმული, დაადგინეს მისი გადაჭრა გადასდონ.

# რუსეთის ამბები

**მანჯურიის საერთაშორისო მდგომარეობა** გართულებულია, ჩინეთის ჯარები ბლომათ შემოიყვანეს მანჯურიაში. ეს ჯარები თავს ბატონ-პატრონათ გრძნობენ. რუსეთის საკონსულოს და კომისარს ხარბინში ჩინელი ჯარისკაცები იცავენ. წესიერების დაცვაც ქალაქში ამ ჯარებს აქვთ ჩაბარებული. დააპატიმრეს რუსეთის კომისარი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ქალაქში წესიერების დაცვა. მოთხოვნა, რომ ის გაენთავისუფლებიათ, არ იქნა დაკმაყოფილებული. საეჭვოთ მიგვაჩნია, რომ ხელშეკრულობის ძალით შესაძლებელი იყოს საბჭოთა დეპუტატების დათხოვნა. იმუქრებიან ძალათ გავაძევებთ რევოლიუციონური დრუჟინისა და საბჭოს ბელადებსო. ჩინელების ამ გვარ მოქმედებას კარგის თვალით უცქერიან რუსეთის ბურჟუაზია და რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები. ჩვენი კონტრ-მზვერავთა რაზმის ზოგიერთმა წევრებმა გადმოგვცეს, რომ რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებს მოლაპარაკება ჰქონიათ ჩინეთის წარმომადგენლებთან, რომ ხარბინში შემოყვანილ იქნას ჩინეთის ჯარები და სასტიკი ზომები იქნას ნახმარი საბჭოების წინააღმდეგ. როგორც დეპეშებიდან ვიცით, ხარბინი უკვე დაიკავა ჩინეთის ჯარმა.

**ჩერნოვის, წერეთლის და სხვათა დაპატიმრების** შესახებ სახალხო კომისართა საბჭოს 21 დეკემბერს კრება ჰქონდა. კრებას დაესწრო 8 ბალშევიკი და 6 ესერი. მემარცხენე ესერებმა აღნიშნეს, რომ ჩერნოვის და წერეთლის დაპატიმრება გააძლიერებს დემოკრატიის მემარჯვენე ფრთასო. ბალშევიკები ბრალს სდებენ ესერებს, რომ ამ გვარი მოქმედებით თქვენ არევ-დარევა შეგაქვთ საქმეშიო. რომ საქმე არ გაერთულებიათ, ბალშევიკებს საკითხისთვის კენჭი აღარ უყრიათ.

**ბელორუს ჯარისკაცებმა,** რიცხვით 1000 კაცმა საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანეს სახალხო კომისართა წინააღმდეგ 18 დეკემბერს მინსკში ბელორუსთა ეროვნული ყრილობის გარეკის გამო. ჩვენ არ ვცნობთ კომისართა მთავრობას, ვინაიდან ის ბელორუსების თვით-გამორკვევის წინააღმდეგ მიდისო, ნათქვამია რეზოლიუციაში მოუწოდებენ ბელორუს გლეხებს და მუშებს დაიცვან თვითგამორკვევის პრინციპი, საიდანაც არ უნდა მოელოდეს მას საფრთხე.

# კავკ. პროფ. კავშ. პირველი კონფერენცია

### პროფესიონალურ კავშირებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ურთიერთობა.

მომხსენებელი ამხ. კოვალი და მთელი რიგი ორატორებისა აღნიშნავდენ, რომ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები უნდა ატარებდენ ცხოვრებაში პროფესიონალურ კავშირების ეკონომიურ პოლიტიკას. კომიტეტები არ უნდა თამაშობდენ დამოუკიდებელ როლს არც ეკონომიურ და არც პოლიტიკურ სფეროში.

1) კაპიტალისტურ საზოგადოებაში გაბატონებული წარმოების ანარქია, რომელიც კატასტროფიულ ზომამდე გააძლიერა იმპერიალისტურ ომმა და მეფის რეჟიმის ბატონობამ, მოითხოვს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს დაუყონებლივ ჩარევას წარმოების მოწესრიგებისა და მასზე კონტროლის დაწესების გზით.

2) პროფესიონალურ კავშირებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა ამ მიზნით შექმნილ როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ორგანოებში.

3) პროფესიონალურ კავშირებს, როგორც დაქირავებულ შრომის ინტერესებისა და უფლებათა დამცველ მებრძოლ ორგანიზაციებს კაპიტალისტურ წარმოების ყოველ ვარ ფორმის დროს, თუნდაც სახელმწიფოებრივ კონტროლისა და მოწესრიგების ქვეშ არსებულ წარმოების დროს არ შეუძლიათ იკისრონ საადმინისტრაციო-სამეურნეო ფუნქციები წარმოებაში. წარმოების კონტროლის საქმეში მათ დაეკისრება მხოლოდ თვალყური ადევნონ ცენტრალურ ორგანიზაციის განსაზღვრულ დებულებათა ცხოვრებაში გატარებას.

4) პროფესიონალურ კავშირებმა ენერგიულათ უნდა შეუწყონ ხელი საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მოწყობასა და გამაგრებას, უნდა ეცადონ გადააქციონ ისინი თავის დასაყრდნობ პუნქტებათ ადგილობრივ და მათი დახმარებით უნდა გაატარონ ცხოვრებაში პროფესიონალურ კავშირთა საერთო პოლიტიკა. შესრულებენ რა წარმომადგენლისა და წარმოების მუშათა ინტერესების დამცველის ფუნქციებს, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები წარმოადგენენ კონტროლის პირველ ინსტანციას, როგორც შრომის დაცვის კანონების, ისე კავშირის მიერ ჩამოგდებულ კოლექტიურ ხელშეკრულების თვალყურის დევნებით.

5) საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში არჩევნები უნდა მოხდეს პროფესიონალურ კავშირთა ხელმძღვანელობით და მათივე სიით. საჭიროა კავშირში წევრათ ჩაწერა კომიტეტის ყველა იმ წევრებისა, რომლებიც ჯერ კიდევ კავშირის გარეთ არიან დარჩენილი.

6) საქარხნო კომიტეტებმა თავის მხრით უნდა გასწიონ აგიტაცია, რომ თავის წარმოების მუშები ჩაეწერონ წევრებათ კავშირში და აამაღლოს კავშირის ავტორიტეტი შეუკავშირებელ მუშათა თვალში.

7) საქარხნო კომიტეტებმა წარმოებაში მომხდარ კონფლიქტის ხელმძღვანელობა უნდა გადასცეს პროფესიონალურ კავშირებს, ამასთანავე უნდა გადასცეს კავშირის განკარგულებაში მთელი თავისი აპარატი კონფლიქტის სალიკვიდაციოთ.

8) სამეურნეო ცხოვრების არევ-დარევისა და მომავალ უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველათ შრომის ბაზრის მოწესრიგების განსაკუთრებულ მნიშვნელობის გამო, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა ყოველთვის უნდა აცნობონ პროფესიონალურ კავშირებთან არსებულ შრომის ბიუროს თავისუფალ ადგილების შესახებ, აგრეთვე თვალყური უნდა ადევნონ, რომ ქარხნის ადმინისტრაციამ თავის დროზე და სისწორით აცნობოს მუნიციპალურ შრომის ბირჟებს ყველა თავისუფალ ადგილების შესახებ; მუშების მიღება უნდა ხდებოდეს პროფესიონალურ კავშირებისა და კომიტეტების საშუალებით.

9) პროფესიონალურ კავშირებისა და საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტების ფუნქციების მხოლოდ სისწორით განსაზღვრით და მათი მჭიდრო თანამშრომლობით შესაძლებელია მივაღწიოთ მიზანშეწონილობას და მთლიანობას პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლის წარმოებაში და ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების სახელმწიფოს მიერ მოწესრიგებისა და კონტროლის საქმეში მონაწილეობის ნაყოფიერების.

10) კონფერენციას ზედმეტათ მიაჩნია საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების სრულიათ რუსეთისა და საოლქო ცენტრების მოწყობა და მოუწოდებს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს ნუ მიიღებენ მონაწილეობას ასეთ ცენტრების შექმნაში".

### პროფესიონალურ კავშირთა საოლქო საბჭოს წესდება.

1) კავკასიის პროფესიონალურ კავშირთა პირველი საოლქო კონფერენცია ირჩევს პროფესიონალურ კავშირთა საოლქო საბჭოს, რომელიც თავის მოქმედების შესახებ სრულ ანგარიშს აძლევს საოლქო ყრილობებსა და კონფერენციებს.

2) თავის მოქმედებაში კავკასიის საოლქო საბჭო ხელმძღვანელობს სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა მე-3 კონფერენციისა და კავკასიის საოლქო კონფერენციის მიერ მიღებულ დებულებებით და აკეთებს შემდეგ საქმეებს:

ა) იჭერს კავშირს ყველა არსებულ პროფესიონალურ კავშირებთან, საოლქო და სრულიად რუსეთის ცენტრთან და ამყარებს კავშირს ახლათ მოწყობილ ორგანიზაციებთან;

ბ) ხელს უწყობს შრომის ცალკე დარგებში პროფესიონალურ კავშირების საოლქო და სრულიად რუსეთის გაერთიანებათა მოწყობას;

ვ) ასრულებს კონფერენციებისა და ყრილობების მოსაწვევათ საჭირო სამუშაოს; იმუშავებს მათ პროგრამას, ზრუნავს მოხსენებების შედგენაზე და აქვეყნებს მათ ძირითად დებულებებს;

გ) პერიოდულათ ათავსებს პრესაში თავის მოქმედების შესახებ ანგარიშს;

დ) სცემს თავის პერიოდულ ორგანოს, რისთვისაც ირჩევს საგანგებო სარედაქციო კოლეგიას;

ე) ხელს უწყობს პროფესიონალურ კავშირებს საორგანიზაციო, სააგიტაციო და კულტურულ-განმანათლებელ მოღვაწეობაში, საზოგადო და ადგილობრივ საგანმანათლებლო კომიტეტების მოღვაწეობაში და სხ.;

ჟ) წარმოადგენს პროფესიონალურ მოძრაობის ინტერესებს კავკასიის საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებათა და ორგანიზაციების წინაშე;

ზ) სცემს ყოველგვარ სანიმუშო წესდებებს, ინსტრუქციებს, იმუშავებს ანგარიშის წარმოების ერთგვარ ფორმებს, საანკეტო ფურცლებს და სხვა;

3) კავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საოლქო საბჭოს საშუალებანი შესდგება გადასახადებისაგან, რომელიც უდრის 3 კაპ. თვეში თვითეულ მახლობელ პროფესიონალურ კავშირის წევრზე.

4) კავკასიის პროფ. კავშირთა საოლქო საბჭო შესდგება 17 პირისაგან, რომლებსაც ირჩევს კონფერენცია, მუშაობის ნაყოფიერობისათვის მასში შედიან: 6 ბაქოში მცხოვრები წევრი, 8—თფილისში მცხოვრები და 3—სხვა ქალაქებიდან.

კონფერენცია ავალებს მომავალ საოლქო საბჭოს მოიწვიოს ახლო მომავალში ახალი ყრილობა. საბჭო იქნება თფილისში.

### კონფერენციის უფლება.

ამხ. ბასინმა შემოიტანა წინადადება კონფერენცია აღიარებულ იქნას სათათბირო კონფერენციათ და ახალი ყრილობა მოიწვიონ ბაქოში, ვინაიდან ამ კონფერენციაზე სუსტათ არის წარმოდგენილი კავკასიის პროლეტარიატიო. 43 ხმით 10 წინააღმდეგ (6 თავი შეიკავა) მიღებულ იქნა ამ საკითხის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია: „იღებს რა მხედველობაში, რომ ამ კონფერენციის მომწვევ საორგანიზაციო კომისიამ მიიღო ყველა ზომები, რომ კონფერენციაზე ყოფილიყო წარმოდგენილი კავკასიაში ყველა არსებული პროფესიონალური კავშირები, მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიის პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლები თუ ვერ გამოცხადდენ კონფერენციაზე ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მათ არ უნდათ მიეღოთ მონაწილეობა კონფერენციის მუშაობაში, ეს აიხსნება უბრალო შემთხვევით, მრავალ აშკარა მიზეზებით, როგორიც არის, მაგ. რკინის გზებზე მიმოსვლის არევ-დარევა, გროზნაში სამრეწველოების დახურვა და მუშათა ორგანიზაციების დარბევა,—კონფერენცია აღიარებს თავის თავს სრულუფლებიანათ და უწოდებს თავის თავს კავკასიის საოლქო პირველ კონფერენციას და სცნობს, რომ მისი გადაწყვეტილებანი სავალდებულო უნდა იყოს კავკასიის ყველა პროფესიონალურ კავშირებისათვის".

# ხაშურის მუშათა წითელი გვარდია

თუ რომ ჩვენი ქვეყნის რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიას თვალს გადავავლებთ და მხედველობაში მივიღებთ ამა თუ იმ კუთხის მუშების როლს რევოლიუციის განვითარება - წარმატების საქმეში, ხაშურის რაიონის მუშათა კლასსაც თამამათ შეიძლება დაეთმოს საპატიო ადგილი.

ხაშურის დემოკრატია მუდამ თავის მოწოდების სიმაღლეზე იდგა, მუდამ პოზიციაში ედგა ძველი ცხოვრების სიდუხჭირეს და არც ერთ შემთხვევაში მას არ უღალატნია დემოკრატიის რევოლიუციონურ წინმსვლელობისათვის.

აბა, ვის არ ახსოვს 1903 წლის ხაშურის მუშების ბრძოლის პირველი ნაბიჯი, როდესაც რკინის გზის მუშებმა პირველათ აღიმაღლეს ხმა, მოითხოვეს ხელფასის მომატება და ერთი დღის ეკონომიური გაფიცვა გამოაცხადეს. ალბათ ისიც ეხსომება მკითხველს, თუ რა მოჰყვა ამ კანონიერ მოთხოვნას, რით უპასუხა მუშებს მაშინდელმა მთავრობამ და რაოდენი სისხლი დაიღვარა იმ დღეს. აი, ამ დღიდან უფრო გარკვეულს გზას ადგება ხაშურის დემოკრატია, ეკონომიურ ბრძოლასთან ერთად პოლიტიკურ ბრძოლასაც ეწაფება და ამ რიგათ მთელს რაიონში რევოლიუციონურს მოძრაობას მტკიცე საფუძველი ეყრება.

ვერც ძველი კანონების სისასტიკემ, ვერც ჟაშუშ-ჟანდარმერიის დევნამ ხაშურის დემოკრატიას ქედი ვერ მოახრევინა, ვერ დაიმორჩილა, პირ-იქით რევოლიუციონური მუშაობა უფრო და უფრო გაღრმავდა და ამ რიგათ თავისუფლების დროშა შეუბღალავათ მოიტანეს დღევანდელ რევოლიუციამდე.

ხაშურის დემოკრატია—ეს ერთი ძლიერი რევოლიუციონური ავანგარდია მთელ გორის მაზრაში და როგორც ასეთი ყოველგვარ გამოსვლებში, აგრეთვე საზოგადო საქმეებში პირველ ნიშანს ის აძლევს.

როგორც კი დაიბადა აზრი მუშათა წითელი გვარდიის შედგენის შესახებ, ხაშურის მუშები მაშინვე გამოეხმაურენ თფილისელ ამხანაგებს და რამდენიმე დღის განმავლობაში შეადგინეს გვარდია ორასი კაცისაგან. ამ გვარდიის შედგენა თვითონ მუშებმა იკისრეს. გვარდია დაყოფილია ათეულებათ, ათეულებს მეთაურობს და პასუხისმგებელია ორგანიზაციის წინაშე—ათის თავები. ყველა ათეულები ერთად კავშირდებიან პირველ მოწოდებისამებრ და საგანგებოთ არჩეულ თავდაცვის კომისიის ხელმძღვანელობით გამოდიან სამოქმედოთ, ამ კომისიის გარეშე არც ერთ გვარდიელს უფლება არა აქვს ცალკე იმოქმედოს და თუ რომელიმემ უღალატა შემუშავებულ პრინციპებს, მას იარაღს აჰყრიან და გვარდიიდან აძევებენ. გვარდიის მოვალეობაა: უმთავრესათ რევოლიუციის დაცვა, შემდეგ კი—წესიერების აღდგენა და დაცვა მთელ რაიონში და თუ საჭიროებამ მოითხოვა სხვათა დახმარება. ასეთია მოკლეთ ხაშურის წითელი გვარდიის შემადგენლობა და ვალდებულებანი. ახლა საჭიროთ მიმაჩნია გავაცნო მკითხველს გვარდიის მოღვაწეობა და ის დიდი საქმე, რომელიც მას ხვდა წილათ ამ ბოლო დროს და რომელიც მან პირნათლათ შეასრულა. მე მოგახსენებთ ახალციხის ამბებზე, როდესაც ახალციხის შეშინებული მოქალაქენი დახმარებას და მფარველობას მოითხოვდენ ამიერ-კავკასიის კომისარიატიდან, პირველი დახმარების ხელი ხაშურის წითელმა გვარდიამ გაუწოდა. ახალციხელების მოწოდებისამებრ ყველაზე უწინ ხაშურის გვარდია გაემგზავრა დასახმარებლათ, ჩავიდენ თუ არა ბორჯომში, ახალციხეში წესიერება აღდგენილ იქნა, რადგან ამ ძალას ანგარიში გაუწიეს თათრებმა და მაშინვე სამშვიდობო მოლაპარაკებას შეუდგენ. თუმცა გვარდიელებს ბორჯომს იქით არ დასჭირებიათ წასვლა, მაგრამ მათი გავლენა იმდენათ დიდი იყო, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ახალციხეში სასურველი სიწყნარე ჩამოვარდა. გარდა ამ საქმისა გვარდიელებმა პირველებმა იკისრეს ხაშურ-ბორჯომის რაიონის რკინის გზაზე წესიერების დამყარება და ჩარჩ-ჯარისკაცების ალაგმვა. ამ მაგალითს დანარჩენმა სადგურებმა წაჰბაძეს და ამ რიგათ დღეს გულის ამღვრევი სურათები აღარ ხდება მატარებლებში.

ასეთია ჯერ-ჯერობით ხაშურის წითელი გვარდიის მუშაობა. აქ ნათქვამიც საკმარისია გვარდიის დასახასიათებლათ და იმ დასკვნის გამოსატანათ, თუ რა დიდი მოვალეობა ხვდა დღეს წილათ წითელ გვარდიას და რა უნდა გააკეთოს მან მომავალში. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წითელი გვარდია, გვარდია ბრძოლაში გამოვლილი მუშათა ავანგარდისა, დღესაც და შემდეგშიაც არ დაჰყრის ბრძოლის იარაღს, არ მიატოვებს ბრძოლის ველს და რევოლიუციის კეთილდღეობისათვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს.

**ნიკო გურული.**

# კახეთის დღევანდელი ვითარება

მას შემდეგ, რაც რევოლიუციის პირველმა ხანმა განვლო, ე. ი. იმ დრომ, როდესაც კახეთის გლეხკაცობამ ძველი წესწყობილება მიანგრ-მოანგრია, ამავე გლეხკაცობის წინ უფრო რთული და თავსამტვრევი კითხვა დადგა. ეს იყო ძველის ნანგრევებზე ახალი წესწყობილების აგება და ცხოვრების სადავის თავის ხელში აღება.

თავის თავად ცხადია, რომ ნგრევაზე შენება უფრო ძნელია, რადგან ახალი მართველობის დამყარება გაცილებით მეტს უნარს და პოლიტიკურ სიმწიფეს მოითხოვს ხალხისაგან, ვიდრე მამასახლისების დაცვლა და სტრაჟნიკებისაგან თოფების ჩამორთმევა. და აი, როდესაც რევოლიუციის შემდეგმა მსვლელობამ კახელებისაგან თავისი თავის მოვლის უნარის გამოჩენა მოითხოვა, ამ დროს კახეთის მხარეშიაც გლეხკაცობამ იმედები ვერ გაამართლა. მათი შეხედულობით საკმარისი იყო მამასახლისების გადაყენება, სტრაჟნიკებისა და „პრისტავების" განდევნა, რომ სოფლათ სამოთხე დამყარებულიყო. ერთი სიტყვით რევოლიუციიდან ჩვენი გლეხკაცობა ყველაფერს მოელოდა და ეს ყველაფერი მათი აზრით რევოლიუციის მეორე დღესვე უნდა ყოფილიყო. თვითმპყრობელობის დროს ჩვენი გლეხკაცობა მიჩვეული იყო მაღლიდან ბრძანებების მიღებას და ამ ბრძანებების მექანიკურათ ასრულებას. რევოლიუციამ თავისთავად ცხადია, ასეთი წესი სცვალა. მან თვით გლეხები გახადა თავისი თავის ბატონ-პატრონათ, ხოლო გლეხები კი ისევ ძველებურათ აზროვნობდენ და ყველაფერს ისევ მაღლიდან მოელოდენ. თუ თვითმპყრობელობის დროს გლეხობას აკლდა ფარჩა, ნავთი, საპონი, ლურსმანი და სხვა, რევოლიუციის გამარჯვების მეორე დღეს ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილ სა-

ქონელს რევოლიუციის მეთაურებიდან მოელოდა. ის პეტრე, რომელიც დღემდე მასთან ერთად გუთანს ეკიდა, დღეს, როდესაც უკვე კომისარათ აირჩიეს, პეტრე, გლეხების აზრით, ყველაფრის შემძლე კაცი უნდა გამხდარიყო და თავისი ამომრჩევლებისათვის ერთი ხელის დაკვრით ყველაფერი გაეკეთებია. მართალია, ახლად არჩეული პირები, როგორც ადმინისტრატორები, სუსტნი იყვნენ, მაგრამ სულითა და გულით ახალი აზრების ერთგული დარაჯები იყვენ და ზნეობრივათაც უმრავლესობა ფაქიზი. მაგრამ ჩვენს გლეხკაცობას ახლად არჩეული პირების ასეთი თვისებანი სრულებითაც არ აკმაყოფილებდა და მათგან მოითხოვდა იმის ასრულებას, რაც იმ დროს არავის არ შეეძლო, ე. ი. რევოლიუციის მეორე დღესვე ეკონომიურ ცხოვრების სრულებით მოწესრიგებას და მშვიდობიან წყნარ წესს. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ საგუბერნიო და სამაზრო ცენტრები ისე იყვენ მუშაობაში ჩაფლულნი, რომ სოფლების ხელმძღვანელობას და მათში რაიმე მმართველობის სისტემის შემოღებას სრულებით ვერ ახერხებდენ. საკმარისი არ იყო მარტო სიტყვით რჩევა-დარიგება მიეცათ. საჭირო იყო ზოგიერთ შემთხვევებში რეალური ძალის ჩვენება და აი სწორეთ ამ ძალის გამოჩენა ვერ შესძლეს ცენტრებმა. სოფლის ნაძირალებმა ჩვენი რევოლიუციის ამ სუსტ მხარეებს მალე ალღო აუღეს და შეუდგენ კიდეც მოქმედებას პირველი იერიში სოფლის ახლად არჩეულ პირებზე მიიტანეს. ამ ვაჟბატონებმა კარგად იცოდენ, რომ რევოლიუციის წინააღმდეგ ასამხედრებლათ საჭიროა პირველად ყოვლისა რევოლიუციის ერთგულ დარაჯთა სახელის გატეხა და მათდამი ხალხის მხრით ნდობის დაკარგვა. ამ დროს იწყება ქურდ-ბაცაცობა, ყაჩაღობა, ძარცვა მთელი სოფლებისა და სხვ.—აი თქვენი ახალთაობა!—ნიშნის მოგებით გაიძახიან ნაძირალები! ღამე ყაჩაღებს უწევენ ბელადობას, დღით კი გამოდიან დაწიოკებულ გლეხებში და ყველაფერს რევოლიუციონურ სოფლის არჩეულ პირებს აბრალებენ.—მაგათ კავშირი აქვთ ქურდ-ყაჩაღებთან და ქრთამებს იღებენო,—გაიძახიან ძველი მოხელეები, ნაძირალები მიზანს აღწევენ.

სოფლის გულუბრყვილო მცხოვრებნი ძველი მოხელეების და მათი ლაშქარქურდ-ბაცაცების პროვოკაციის მსხვერპლი ხდებიან. იწყება დევნა ხალხის ნამდვილ გულშემატკივრებისა და ახალ არჩევნებზე ბევრ ადგილას აშკარა ნაძირალები იმარჯვებენ. კახეთის ბევრ სოფლებში ამ ჟამათ საზოგადოებას სათავეში აშკარა ქურდები უდგანან.

სამაზრო კომისარიატი, როგორც თელავის, ისე სიღნაღის მოდუნებულია და სოფლებში გამეფებულ უკულმართობას ჯეროვან ძალას ვერ უპირდაპირებენ და უნდა აშკარათ ითქვას, რომ თუ კიდევ დიდხანს გასტანა ასეთმა მდგომარეობამ, ადვილი შესაძლებელია, რომ სოფლების ნაძირალებმა თვით სამაზრო კომისარიატზედაც კი მიიტანონ იერიში.

აშკარაა, ძალას ძალა უნდა დაუპირდაპირდეს. თუ რევოლიუციონურმა მთავრობამ სოფლის ნაძირალებს არ დაანახვა, რომ გარდა მიტინგებისა, მის განკარგულებაში სხვა ძალაც არის, ისე მათი ალაგმვა ყოვლათ შეუძლებელია. მით უფრო დამღუპველი შედეგი ექნება ნაძირალების თავისუფლათ მოქმედებას იმ დროს, როდესაც შეუდგებით სოფლათ მიწის შესახებ გამოცემულ დეკრეტის განხორციელებას.

ბ. ჭუმბურიძე.

# სოც.-დემ. პარტიაში

**გორა-ბერეჟოული** (გურია). ორ იანვარს გაიმართა გორა-ბერეჟოულის იაჩეიკის რ. ს. დ. მ. პ. წევრთა კრება. განიხილეს მიწის საკითხი. რადგანაც მუშა თებერვლიდან იწყებს მიწის დაწმენდა-დახვნას, კრებამ საჭიროთ სცნო შეეკითხონ სამაზრო კომიტეტს დაჩქარებით მოახდინოს განკარგულება თუ რა ფარგლებში მოხდეს მემამულეთა მიწების დამუშავება. ადგილობრივ პარტიის დავალებით „ალილოს" ფონდის მიერ მოგროვილი 102 მან. კრებამ გაანაწილა შემდეგ ნაირათ: 30 მან. გადასდო დამფუძნებელ კრების ფონდისთვის; 10 მან. „ერთობის" ფონდისთვის; დანარჩენი კი მოახმარა ადგილობრივ სკოლას. დასასრულ კრებამ სასტიკი პროტესტი გამოიტანა იმათ წინააღმდეგ, ვინც გადაელობა წინ ხალხის სურვილებს და გარეკა დამფუძნებელი კრება. მოითხოვს დაუყოვნებლივ შესდგეს დამფუძნებელი კრება და თუ საჭიროება მოითხოვს, მზათ არის თავი შესწიროს თავისუფლების დასაცავათ.

მ. დოლიძე.

**სოფ. საგარეჯო.** 6 იანვარს გაიმართა საგარეჯოს რაიონის რ. ს.-დ. მ. პ. წევრთა კრება. განიხილეს შემდეგი კითხვები: მიმდინარე მომენტი; კოლექტივის რეორგანიზაცია; წევრების შეიარაღება. მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ გააკეთა ვ. კაკაბაძემ. მან გააცნო კრებას ომის საკითხი, დამფუძნებელ კრების მნიშვნელობა, ბალშევიზმი და სხვა. კრებამ მიიღო შესაფერი ყრილობის რეზოლიუცია. ამასთანავე გამოსთქვა აზრი შეიარაღდნენ დამფუძნებელ კრების დასაცავათ და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლონ ყაჩაღობას, რომელიც დიდ საფრთხეს უქადის რევოლიუციას.

პარტიაში ჩაეწერენ ახალი წევრები. მოხდა არჩევნები კოლექტივის წევრებისა. თავმჯდომარედ იქნა არჩეული ვანო ქაიხოსროშვილი. პრეზიდიუმის წევრებად აირჩიეს ხუთი კაცი. კრებამ ერთხმათ დაადგინა აღძრან შუამდგომლობა თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წინაშე, გამოუგზავნონ იარაღი კოლექტივის წევრებისთვის. ამას გარდა კრებამ დაადგინა შეიძინონ ნოე ჟორდანიას სურათი სამკითხველოსთვის. კრებამ გამოსთქვა აგრეთვე აზრი სთხოვონ სადაც ჯერ არს იქნას გამოძიებული საქმე ქვათაძისა, რომ მით მიეცეს საშუალება კოლექტივს იქონიოს გადაწყვეტილი შეხედულება ა. ქვათაძეზე.

ს. მჭედლიშვილი.

# პროვინცია

**ნახუნაუს საზოგადოება** (სამეგრელო). 21 დეკემბერს მოხდა აქ ყრილობა. ამხ. კ. ჩიქოვანმა ილაპარაკა დღევანდელ მომენტზე. მსმენელთ ვრცლათ აუხსნა რუსეთში გამეფებულ ანარქიის მიზეზები, ბალშევიკების უტაქტიკო მოქმედება და მისგან გამოწვეული სამოქალაქო ომი. შემდეგ შეეხო კავკასიის კომისარიატს, აუხსნა ხალხს, თუ რისთვის შედგა კომისარიატი და რა დანიშნულება აქვს მას. შემდეგ ილაპარაკეს გლეხებმაც და ბოლოს მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში ბალშევიკების უტაქტიკო მოქმედებას, რაც საფრთხეს უმზადებს რუსეთის რევოლიუციას და ამისთვის სრულიად სამართლიანად ვცნობთ ამიერ კავკასიის კომისარიატს და მხარს დაუჭერთ მისგან გადადგმულ ნაბიჯებს. ამის შემდეგ ამხ. ჩიქოვანმა დაწვრილებით გააცნო მსმენელთ ერობა და მისი დანიშნულება. შემდეგ სოფლის კომისარმა თ. ჰილაიამ განუმარტა ხალხს წითელი გვარდიის შედგენის აუცილებლობა ქურდ-ავაზაკთა წინააღმდეგ. იქვე იქნა არჩეული 25 კაცი, რომელთაც თოფები მიეცემათ სოფლის დასაცავათ.

ვინჩინ.

**ს. ბეთში.** 27 დეკემბერს, ადგილობრივ ს. დ. ორგანიზაციის ინიციატორობით გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მიტინგს დაესწრო სამი ათასამდე ქალი და კაცი. ლაპარაკობდენ მხოლოდ ს. დ. მეუმცირესეთა და მეუმრავლესეთა ფრაქციებიდან. დაბოლოს წაკითხულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც მიტინგი გმობს ბალშევიკების გამოსვლას და უერთდება ამიერ კავკასიის კომისარიატს და ნდობას აღუთქვამს მას. საღამოს ამავე დღეს ამხ. პ. კეკელიამ ადგილობრივ თეატრის დარბაზში წაიკითხა რეფერატი შემდეგ თემაზე: „პროლეტარული ხელოვნება", კრებას ბევრი ხალხი დაესწრო, უმეტესობა ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდობა იყო.

მ. ბეთელი.

**ცხინვალი.** 5 იანვარს გაიმართა გლეხთა საბჭოების სარაიონო ყრილობა დაბა ცხინვალში; დაესწრო ცხინვალის რაიონის სოფლებიდან ას დელეგატამდე. თავმჯდომარეთ აირჩიეს პ. ეფრემიძე, მდივნათ ეფ. გულიევი. მიმდინარე მომენტზე გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც ყრილობა ნდობას უცხადებს ამიერ კავკასიის კომისარიატს, შემდეგ იქონია მსჯელობა ფრონტის მდგომარეობაზე და შინაურ ანარქიაზე. და დაადგინა მიღებულ იქნას ზომები, ამოძრავდეს მთელი მასსა, შემოკრბეს ეროვნულ პოლკების გარშემო; პირველივე დაძახებაზედვე გავგზავნოთ, ვისაც კი მოგვიწოდებენ სამშობლოსა და თავისუფლების დასაცავად ყოველგვარ ანარქიიდან. ზიზღი და კრულვა უკან დამხევს, როგორც მოღალატეს ამ კრიტიკულ საპასუხისმგებლო წუთში. დიდის ყურადღებით შეხვდა კრება მიწის საკითხსაც. ამიერ კავკასიის კომისარიატის მიერ გამოცემულ დეკრეტის გასატარებლათ აუცილებელ საჭიროდ სცნო დაარსდეს ცხინვალის რაიონისთვის, სადაც 30 ათასამდე მცხოვრებია, საკუთარი მიწის კომიტეტი. კომიტეტის წევრებად აირჩიეს ოთხი კაცი, თანახმად ინსტრუქციისა; ერთი ალაგიც დაუტოვეს ოსების საბჭოს წარმომადგენელს, რომ მიწის საკითხში ვაწარმოოთ შეთანხმებული მოქმედება, ვინაიდან ამ რაიონში ძრიელ ბევრი საერთო რამ აქვთ ამ ორ მეზობელ ხალხს. გამოითქვა სურვილი ერობის საჩქაროთ შემოღებაზე. ცხოვრება აღარ ითმენს, გზები, ხიდები და ბოგირები საშინელს უმწეო მდგომარეობაშია; საშინელ სასურსათო კრიზისს, რომ რაიმე ავათმყოფობა მოჰყვეს, უბედურება დაატყდება თავს მცხოვრებელთ საავათმყოფოების და ექიმების უქონლობით. ამიტომ კრებამ ერთხმად გადასწყვიტა მიიღონ რაიმე საჩქარო ნაბიჯები ამ მხრივ არსებულმა სარევოლიუციო ორგანოებმა, სახელდობრ, აღმასრულებელმა კომიტეტებმა, შექმნან ერთგვარი ფონდი, შეძლებულებზე ერთდროულ გადასახადით: (ვისიც შემოსავალი აღემატება 850 მ.) შეაკეთონ გზები, არხები, შეიძინონ საავათმყოფოებისთვის სხვადასხვა საჭირო საგნები და სხვ. ამ მიზნით ამოირჩიეს კომისია, რომელსაც დაევალა აამოქმედოს ადგილობრივი კომიტეტები ერთის მხრივ და—დაიჭიროს კავშირები ცენტრებთან—მეორე მხრით. დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქურდ-ბაცაცებთან, შანტაჟისტებთან და ნაძირალებთან ბრძოლის საკითხმა. მოთმინებიდან გამოსული ხალხი თავის დელეგატების პირით აღიარებდა, რომ საჭიროა სასტიკი ბრძოლა ამ ბოროტებასთან. ბევრმა ბარბაროსული ზომების მიღებაც კი მოითხოვა, მაგ.: ხელის მოჭრა, ყურის მოჭრა, დაღის დასმა და სხვ. ბოლოს მიიღეს გადაწყვეტილება: პირველ შემთხვევაში იქნან დატუსაღებულნი ასეთი პირები, მეორე შემთხვევაში კი—გაძევებულნი და გადასახლებულნი თავის სამშობლოდან. ეს ზომები დროებით იქნა მიღებული, ვიდრე მთავრობა შეიმუშავებდეს რაიმე საერთო ზომებს. კრებამ დაადგინა ყოველივე გადაწყვეტილებები ეცნობოს ცენტრებს და გატარდეს ცხოვრებაში. თუ რომელიმე საპასუხისმგებლო პირები არ გაატარებენ ცხოვრებაში ყრილობის კანონიერ გადაწყვეტილებებს, იგინი დატუსაღებულ იქნან ერთის თვით და მათ მაგიერ სხვები აირჩიონ.

თავმჯდ. პ. ეფრემიძე.

**სოფ. ვანი** (გურია). 23 დეკემბერს ადგილობრივ სკოლის შენობაში შესდგა ამავე სოფლის პარტიის წევრთა კრება. კრების გახსნისას გიორგი ოდიშარიას წინადადებით, კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ტრაღიკულათ გარდაცვალებულ ხონის მილიციის უფროს კეძერაძის ხსოვნას. შემდეგ მოხსენება გააკეთა მან. გააცნო კრებას თუ რა ხდება დღეს რუსეთში და აგრეთვე ამიერ კავკასიაში. აღნიშნა ის სამწუხარო მოვლენები, რომლებსაც ამ დღეებში ალაგი ქონდა ქალ. ქუთაისში, ხონში და ყვირილაში და აგრეთვე სხვა ალაგებში და მოუწოდა დამსწრეთ, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექციათ, რომ ასეთი სამწუხარო ამბები გურიაშიაც არ მოხდეს. სურსათის შესახებ ილაპარაკა საბჭოს წევრმა გრიშა მახარაძემ. აღნიშნა ის სამწუხარო მოვლენა, რომელიც ამ მოკლე ხანში მოელის ხალხს სიმინდის უქონლობით და მოუწოდა ხალხს ეხლავე მიიღონ საჭირო ზომები ამ უბედურების თავიდან ასაცილებლათ. კრებამ ამის შესახებ დაადგინა: ეხლავე დაევალოს სასურსათო კომისიის წევრს, რომ დაუყონებლივ შეუდგეს სიმინდის ადრიანათ შეძენას, როგორც ადგილობრივათ, ისე სხვა კუთხეებიდან, სადაც კი აღმოჩნდება სიმინდი და მოსახერხებელი იქნება შეძენა. ამასთანავე კრება ავალებს, როგორც სასურსათო კომისიის წევრს ისე კოოპერატივის წარმომადგენლებს, რომ სასტიკი თვალყური ადევნოს იმ ალვირ წახსნილ ჩალვადრებს, რომელნიც ქურდულათ ეწევიან სიმინდის ვაჭრობას და 8 მანეთათ ნაყიდ სიმინდს დამშივებულ ხალხს 20 და 25 მანეთათ აძლევენ. დასასრულ ფარული კენჭის ყრით კრებამ აირჩია თფილისში გასაგზავნი რაზმელები.

ს. წაბლნარელი.

**სად. ნავთლუღი.** იმ დროს, როდესაც საზოგადოთ მთელ რუსეთში და კერძოთ ამიერ კავკასიის რკინის გზაზე საზარელი ამბები ხდება, როცა მთელი რევოლიუციისთვის საბედისწერო წუთი დადგა და უპასუხისმგებლო ჯგუფი მას დაღუპვისაკენ მიაქანებს, ნავთლუღის სადგურის მოსამსახურეებს სძინავთ, კი არ სძინავთ მთელი ღამეები ქაღალდის თამაშში ატარებენ. სხვა მათთვის აღარაფერი არსებობს. ნუ თუ არ რცხვენიათ მათ ასეთ დროს ასეთ მოქმედებისათვის. გონს მოდით!.

თქვენი ამხანაგი.

# მიმართვა

ამ წერილით მივმართავთ თფილისის და ქუთაისის ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ამიერ-კავკასიის საბჭოთა ცენტრის საგამომცემლო კომისიას, წიგნების გამომცემელთა ამხანაგობებს, რევოლიუციონურ პარტიებს და დემოკრატიის ყველა გულშემატკივართ.

რუსეთის ნორჩი დემოკრატია უძლური გამოდგა სამი წლის საარაკო ომით გაპარტახებულ, სისხლისაგან დაცლილ, ძაძით შემოსილი ქვეყნის განახლების საქმეში. რევოლიუციის მიერ უფლება ახდილმა, შერცხვენილმა ბიუროკრატიამ და დემოკრატიის ნაწილის ულირსმა შვილებმა, იმ დროს, როდესაც შემოქმედებითი მუშაობისთვის ყველა რევოლიუციონურ ძალთა დარაზმვა უნდა მომხდარიყო, თავ-თავიანთ მიზნების მისაღწევად. სხვადასხვა საშვალებებით, რევოლიუციის ნაცვლად, რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეზე ანარქია გაამეფეს-გააღრმავეს. ბნელი ძალების და რევოლიუციის მტრების საექსპერიმენტო საგნად გადაიქცა რუსეთის ბედის მესაჭე, დემოკრატიის ღვიძლი შვილი, მაგრამ უკულმართად მოწყობილი ჯარი, რომელმაც რევოლიუციის პირველ დღიდანვე ზურგი აქცია თავის ბატონ ბიუროკრატიას და მით ისტორიაში რევოლიუციონურ ჯარის სახელწოდება დაიმსახურა. რევოლიუციის მტრების სასიხარულოდ, იმათ ცდამ თითქოს შესაფერ შედეგს მიაღწია. დაღლილ-დაქანცული, მონობაში და უმეცრებაში აღზრდილი ჯარი, რომელსაც ჯალათი თვითპყრობელობა უფრო „შინაურ მტრების" წინააღმდეგ ბრძოლაში წვრთნიდა, მონაპოვარ თავისუფლებას მოსარჩლეობის ნაცვლად, თითქოს მას საფრთხეთაც მოევლინა.

ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მონაპოვარი თავისუფლება, ვინც იგემა ჩაგვრა-წამება და მოწამე გახდა 1905 წლის განმათავისუფლებელ მოძრაობის რეაქციის მიერ დასამარების, ვალდებულია გაასკეცებული ენერგიით იშრომოს მის დასაცავად და ყოველგვარ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მით უფრო გვმართებს ეს ჩაგრულ ერთა შვილებს, ვინაიდან თავისუფლების დაკარგვით ჩვენს ფიზიკურ არსებობასაც საფრთხე გაუჩნდება. ამისთვის საჭიროა დემოკრატიის გონებრივ-ზნეობრივი ამაღლება, მისი პოლიტიკურად მომზადება, რეაქციის შემოტევის მოლოდინში ჩვენი დარაზმვა და მისთვის საკადრისი პასუხის გაცემა.

სწორედ ამ მიზნით მე-7 ქართულ მსროლელთა პოლკში ყოფილ სახალხო მასწავლებელთა და სტუდენტების ერთი ჯგუფის ინიციატორობით, გასული წლის დეკემბრის რიცხვებში, დაარსდა კულტურულ-განმანათლებელი წრე, რომელმაც მიზნათ დაისახა ხსენებულ პოლკის ჯარისკაცთა გონებრივ-ზნეობრივი განვითარება, რათა გათვითცნობიერებული ქართველი ჯარისკაცი ერთგულ დარაჯათ ედგეს რევოლიუციას, რომელიც ასე ძვირფასია მთელი დემოკრატიისთვის. თავისი მიზნის განსახორციელებლათ წრე აარსებს პოლკში წიგნთსაცავ-სამკითხველოს, წერა-კითხვისა და საზოგადო სამეცნიერო საგნების შესასწავლად სკოლებსა და პოლიტიკურ კლუბს, სადაც სისტემატიურათ წაიკითხება მოხსენებები, რეფერატები და ლექციები თანამედროვე თემებზე, როგორც წრის წევრთა აგრეთვე გარეშე ძალთა დახმარებით.

რასაკვირველია, წრეს იმედები გაუცრუვდება, თუ მას სათანადო ყურადღებას არ მიაქცევენ ისინი, ვისაც ჩვენ მივმართავთ. პოლკის უფროსის მიერ გაცემული თანხა და საწევრო გადასახადი წრის ფართე მიზანს არ ეყოფა. საჭიროა ჟურნალ-გაზეთები და სხვადასხვა სასწავლო ნივთები.

ამისთვის, კულტურულ-განმანათლებელ წრის სახელით, გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ზემოთ-ხსენებულ დაწესებულებებს, რედაქციებს, ყველა რევოლიუციონურ პარტიებს დაეხმარონ ქართველ ჯარისკაცთა გათვითცნობიერების საქმეში და მიაწოდონ მათ უფასოთ თავიანთი გამოცემები, წიგნები და სასწავლო ნივთები.

ვსთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

მე-7 ქართულ მსროლელთა პოლკის კულტურულ-განმანათლებელ წრის გამგეობა.

# წერ. რედაქციის მიმართ

„ერთობის" № 204 დასტამბულია კალ. ჟღენტის წერილი, რომელშიაც ის ბრალს სდებს ლანჩხუთის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის სასკოლო კომიტეტს, ვითომც ამ უკანასკნელს კერძო ინტერესების გამო არ ამოერჩიოს ის ქართული ენის მასწავლებლათ ხსენებულ სასწავლებელში. ეს ბრალდება სრულიად უსაფუძვლოა. ხსენებულ კომიტეტის მოქმედება განიხილა მასწავლებელთა კრების წინადადების თანახმათ არჩეულმა კომისიამ და 9 ნოემბრის სხდომაზე სცნო მოქმედება სასკოლო კომიტეტისა კანონიერათ, მიუდგომელათ და დაამტკიცა. ასეთივე აზრი გამოიტანა ამ საქმეზე ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლის კომისარმა ნ. მგელაძემაც. ამის შემდეგ რა უფლება აქვს კალ. ჟღენტს ასეთი ბრალი დასდოს სასკოლო კომიტეტს.

ბ. ჟღენტს უდიდესი ნაწილი თავის წერილისა მიუძღვნია თავისთავის ქებისთვის, ვითომც დიდი სულიერი კავშირი ქონდეს მას გაზმული მოწაფეებთა, და ამტყუნებს იმ პედაგოგებს, რომლებიც ჯოხის და დატუქსვის საშუალებით ზრდიან. კომიტეტი იძულებულია წერილის ამ ნაწილზეც გასცეს პასუხი და საჯაროთ ამხილოს ბ-ნი ჟღენტი, რომ ისიც თანაზიარია იმ ცოდვებში, რომლებსაც ის პედაგოგებს ახვევს თავზე. მიუთითებთ რამდენიმე არა ჩვეულებრივ შემთხვევებზე, რომლებსაც ქონდა ადგილი ბ-ნი ჟღენტის მასწავლებლობის მოკლე დროის პრაქტიკაში. ჟღენტი გალობის მასწავლებელია: გალობის გაკვეთილზე მან გალახა ავათმყოფი მოწაფე, რამაც დიდი აურზაური გამოიწვია აქ, და რამაც სამწუხარო ინცინდენტი შეახვედრა მას მოწაფის მამასთან. ბავშვები გაურბოდენ მის გაკვეთილებს და ამ ნიადაგზე მას ხშირათ უხდებოდა შეტაკება მოწაფეებთან. ამის გამო ის ხშირად მიმართავდა ხოლმე სასწავლებლის ინსპექციას განცხადებით, რომ ბავშვების წინააღმდეგ მიღებული ყოფილიყო სასტიკი ზომები.

ბ-ნი ჟღენტი ამბობს, რომ მას არ მოუხდენია გავლენა მოწაფეებზე და არ წაუქეზებია გაფიცვაზე. კარგი, მაგრამ რა დავარქვათ ასეთ მისს საქციელს: პარტიული კოლექტივი, რომელმაც იქონია მსჯელობა ბავშვების გაფიცვაზე, წინადადებას აძლევს მას, როგორც კოლექტივის და პარტიის წევრს, მოხსნას თავის კანდიდატურა მასწავლებლობაზე, რასაც რასაკვირველია, მოჰყვებოდა მოწაფეების გაფიცვის ლიკვიდაციაც. ის არ ემორჩილება პარტიის დირექტივს და აცხადებს, რომ მან სიტყვა მისცა მოწაფეებს და ვერ უღალატებს მათ. აქ პარტიულ დისციპლინაზე მაღლა დააყენა ბ. ჟღენტმა მოწაფეების საშვალებით ადგილის თხოვნის სურვილი. მასწავლებელთა კრებამ, რომელიც იმ ხანებში ლანჩხუთში მოხდა, მასწავლებლის მიერ ადგილის ძიება მოწაფეების საშვალებით გაკიცხა.

**ლანჩხუთის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის სასკოლო კომიტეტი*).**

---

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტიდან 350 ჯარისკაცი მოვდიოდით კავკასიაში. სადგურ სალდატკასთან ჩვენი ამხანაგი მინას ბადიანი მატარებელს მოჰყვა და გარდაიცვალა. მისი ცხედარი, ჩვენ,—მისმა ამხანაგებმა ბაქოში ჩამოვასვენეთ და იქ მიწას მივაბარეთ. გზაში ამხანაგებმა—ქართველებმა და სომეხმა ჯარისკაცებმა დასამარხათ ხარჯების დასაფარავათ 337 მან. 50 კაპ. შევაგროვეთ ეს ფული ებარა მირზაქან ზაკიევს. დასაფლავებაზე დაიხარჯა 307 მ. 50 კ. დარჩა 30 მან. ანგარიშის გასწორების დროს დაესწრენ ისაკ მირზაიანცი, საак შანდარუნიანი და ალექსანდრე ეკტიბირიანცი.

*) რედაქცია სპობს ამ კითხვის შესახებ კამათს, მით უფრო, რომ მოპირდაპირეთ სულ ადვილათ შეუძლიათ ადგილობრივ დაიბოლავონ დავა, რომელიც საზოგადოებისთვის სულაც არ არის საინტერესო.


სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
**კეკელიასი**
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი
**დ. ი. ჟორდანია**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებობა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

**ექიმი გ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი პ. ი. გვარჯალაძე**
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

**ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიისათვის საჭიროა ცოცხალი
**ვირთხები და თაგვები**
თვითეულ ვირთხაში მომყვანს მიეცემა 20 კაპ. თვითეულ თაგვში კი 10 კ.
მისამართი: ფეოდოსიევის ქ. 3—ტუპიკი, ამიერ კავკასიის მინდვრის თაგვების წინააღმდეგ მებრძოლი სადგური. მიღება შეიძლება დილის 8 საათიდან დღის პირველ საათამდე. (3—3)

1918 წ. იანვრის 10 თფილისში გამოვა ჟურნალი
**„ახალი კვალი"**
ორგანო ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა.
თფილისის ორგანიზაციის კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს დანარჩენ ორგანიზაციებს საჩქაროდ შეგვატყობინონ: 1) რამდენი ცალის გავრცელება შეუძლიანთ; 2) თავისი, ან ორგანიზაციის აგენტის მისამართი; ეს ცნობები საჩქაროთ უნდა იქნეს მოწოდებული, რათა ჟურნალის გამოცემის საქმე არ შეფერხდეს. აგრეთვე გთხოვთ დაგვეხმაროთ მატერიალურათ და მოგვაწოდოთ მასალები.
ჩვენი მისამართი ჯერ-ჯერობით შემდეგია: Тифлисъ. Вера. Матеріальная ул. № 3. Михаилу Чачуа.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წ. ყოველ დღიურ გაზეთ
**„სოციალ-დემოკრატ"-ზე**
ხელის მოწერის პირობები:
ერთი წლით 50 მან., ექვსი თვით 27 მან., სამი თვით 13 მან. 50 კაპ., ორი თვით 9 მან., ერთი თვით 4 მან. 50 კაპ: ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.
განცხადების ფასი: პირველ და უკანასკნელ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება—2 საათამდის—10 მან.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება თვის პირველ და თხუთმეტ რიცხვებში შემდეგი მისამართით: Кутаисъ, почт. ящ. № 9 Тутку Гварамія.

**ქართული უნივერსიტეტი**
**თფილისში გაიხსნება 1918 წ. იანვრის შუა რიცხვებში**
ამ თავითვე იქმნება სიბრძნის მეტყველების ჰუმანიურ მეცნიერებათა განყოფილება. ლექციები იქნება **საფილოსოფიო, საისტორიო, სალიტერატურო, საენათმეცნიერო, საპედაგოგიო და სოციალურ მეცნიერებათა დარგებიდან.**
სტუდენტებათ მიიღებიან საშუალო სასწავლებლებში (ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, სასულიერო სემინარია (ოთხი კლასი), რეალური, საკომერციო, საეპარქიო და წმ. ნინოს დედათა სასწავლებლები, საოსტატო ინსტიტუტი და სემინარია, კადეტთა კორპუსი და სხვ.) კურს-დამთავრებულნი.
სტუდენტად ჩასარიცხავად საჭიროა: 1) თხოვნა ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობის სახელზე (თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს მთხოვნელის მისამართი), 2) მოწმობა განათლების ცენზის შესახებ და 3) მეტრიკული მოწმობა (ვაჟთათვის). მსმენელთათვის საჭიროა მხოლოდ თხოვნა.
სწავლის ფასი სემესტრში (ე. ი. ნახევარი წლისა) სტუდენტებისა და მსმენელთათვის ათი თუმანი. იმ მსმენელთათვის კი, რომელთაც მხოლოდ ერთისა ან ორი საგნის მოსმენა სურთ,—ხუთი თუმანი. ფული ჩაწერისთანავე უნდა იყოს შემოტანილი.
ჩაწერა იოსებ ყიფშიძესთან, ქართული უნივერსიტეტის კანცელარიაში (ქართული გიმნაზიის შენობა) 12 ს.—2 საათამდე ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა.
ფოსტის ადრესი: въ канцелярію Грузинскаго Университета. Тифлис, зданіе Грузинской гимназіи.
ქართული უნივერსიტეტის დრ. გამგეობის წევრნი: **პ. მელიქიშვილი. ივ. ჯავახიშვილი.**
(15—10)